



საქართველოს ჟურნალი

IX წ.

საქართველოს ჟურნალი

IX წ.

№ 14.

კვირა, 1 აპრილი 1901 წელსა.

№ 14.

გაზეთის ფასი: ერთი წლით თფილისში 7 მან., ნახევარი წლით 3 მ. 50 კ., თფილისის გარეთ ერთი წლით 8 მან., ნახევარი წლით 4 მან., სამი თვით 2 მან., თითო ნომერი—სამი შაურტი.

ხელის-მოწერა მაილდა: თფილისში—„წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიაში, და „კვალის“ რედაქციაში, საპიორის ქ., № 15.

ბელეფონი № 734.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакция „КВАЛИ“.

ზინაბასი. იუდა.—* ლექსი ი. ევლოშვილისა.—ფიქრი იუდასი, ლექსი განდევლისა.—უკანასკნელი ღამე იუდა ისკარიოტელისა, განდევლისა.—შინაური მიმოხილვა.—სხვა-და-სხვა ამბები.—კორესპონდენცია.—რუსეთის ცხოვრება.—საზღვარგარეთ.—ამბები სომეხთა ცხოვრებიდან, დ. ტერ-დავითიანცისა.—მეცნიერება და მეცნიერები (დასასრული), დ. თოფურიძისა.—მკითხველთა წერილები.—ტყვარჩელის ქვა-ნახშირი და მის მომავალზე სჯა-ბაასი პეტერბურგში, ის. კვიციანიძისა.—საქველ-მოქმედო საქმე.

ი უ ლ ა.

დღევანდელ დღეს საქრისტიანო ერი დღესასწაულობს ქრისტეს აღდგომას. დღევანდელი დღე გვაგონებს ჩვენ იმ დღად მოვლენას, რომელიც დატრიადლა პატარა ურიასტანში ამ ცხრამეტი საუკუნის წინათ. მაშინდელ ხალხთა საერთო დაცემაში, ბატონების საერთო გათახსირებასა და ყმათა საერთო დაბეჩავებაში მხოლოდ ერთად ერთი ხმა გაისმა სასოებისა და იმედის. მშვიდმა, წყნარმა იესო ნაზარეტელმა ხელთ აღიღო კვერთხი სიმართლისა და მოიწოდა თავისი თანამემამულენი განახლებისა და აღდგომისაკენ. მან აღაღო ბაგენი თვისნი ტვირთ-მძიმეთა სასარგებლოთ და ტვირთ-მსუბუქთა საწინააღმდეგოთ. მან აუწყა დავრდომით მათი უფლება და ტანჯულთ სასოება. მან მისცა მათ დროსა კაცთ-მოყვარეობისა, ბაირალი ძმობისა და თანასწორობის. მან ასწავა მათ ძველი, უვარგისი ცხოვრების შეცვლა და ახლის დაწყება. იმ ახლის, სადაც უნდა გამეფებულიყო კაცთა შორის მშვიდობა და სათნოება. მოძღვრება იესოსი იყო მოძღვრება მერმისის და აი, შეძრწუნდენ მოძღვარნი აწმყოსი. მყუდროება ბატონებისა დაირღვა. იმედი უძლურთა გაძლიერდა. იესოს განურისხდენ პირველნი, სამაგიეროთ მის გარეშემო შემოკრბენ მეორენი. იესო „გარდააქცევდა ნათესავსა ჩვენსა და აყენებდა ხარკსა ცა მიცემად კეისრისა“—აბრალებდენ ძლიერნი ამა სოფლისა; იესო „აღშფოთებს ერსა და ასწავებს ყოველსა ურიასტანსა“—აბრალებდენ ფარისევლნი. და აი, ესენი შეუდგენ მქადაგებელის დასჯას, მის ხალხიდან გაყვანას და მით თავის უფროსობის გამაგრებას. ვინ იყო მისი ხელის შემხები? ვინ იქნებოდა მისი დამტყვევრი? რასაკვირველია, პოლიცია და ჟანდარმები. მაგრამ ხალხის საყვარელ მქადაგებლის აშკარა დატყვევება, დღისით ქუჩაზე ხელის ტაცება და საპატიმროში წაყვანა ადვილია? ეს ხომ ხალხის არეულობას გამოიწვევს, რასაც ასე უფროსიან წესიერების დამცველნი! საქრო იყო იესოს შეპყრობა ღამით, ჩუმით და აი, ამისათვის ფულის გაღებაც არ დაიხარეს. მთავრობამ მოიცილა მოლაღატენი, გაიჩინა ჯაშუშები და შეუდგა იესოს გზაკვალის ძიებას. მაგრამ ვის ეკოდინებოდა ეს გზაკვალი,

თუ არა ვინმე მახლობელს. ვის მიანდობდა მქადაგებელი თავის საიდუმლოებას, თუ არა თავის მოწაფეთ? „ამინ გეტყვი თქვენ, უთხრა იესომ მოწაფეთ, ვითარმედ ერთმა თქვენგანმან მიმცეს მე, რომელ სჯამს ჩემთანა“. მოწაფე იესოსი უნდა გამხდარიყო მოლაღატე მასწავლებლისა, ამხანაგი მოციქულისა უნდა შექნილიყო ჯაშუშში მთავრობისა. გაცემა შეიძლება მხოლოდ იმისი, ვისაც დაახლოვებით იცნობ. იესოს გაცემა შეეძლო მხოლოდ ერთ ათორმეტ მოციქულთაგანს. ასეთია ბუნება მოლაღატეობისა, ასეთია თვისება გამცემლობისა.

ღამის გასატარებლათ იესო წავიდა გეთსამანიის ბაღში. „იკოდა **აუღატა**, მიმცემელმან მისმან, ადგილი იგი, რამეთუ მრავალ გზის შესრულიყო მუნ იესო მოწაფითურთ თვისით. ხოლო იუდა წარიყვანა ერი და მღვდელთმთავარნი, ფარისევლთაგან მსახურნი და მივიდა მუნ სანთლებითა და ლამპრებითა და საქურველითა... მოუკიდეს და დასხნეს ხელნი მათნი იესოს ზედა და შეიპყრეს იგი“.

მოციქული იესოსი, იუდა ისკარიოტელი, შეიქმნა გამცემთ მქადაგებლისა. იუდამ ოცდაათ ვერცხლათ გაყიდა ის, ვინც ქეშმარიტებისათვის იღვწოდა; ანგარებამ დასძლია უანგარობას, ორპირობამ—პირდაპირობას. იუდა გაიტაცა პატივ-მოყვარეობამ და მოისურვა სიმართლის ღალატით უსამართლობის გაძლიერება. გაყიდვა ქეშმარიტების მღალადებლისა არის გაყიდვა ყველა იმათი, ვისაც ეს ქეშმარიტება ეხება; ერთის მოლაღატეობა ნიშნავს მრავალთა მოლაღატეობას. გაცემული ხომ თავისთვის არ ცხოვრობდა, თავის სასარგებლოთ არ მქადაგებდა; ის ცხოვრობდა სხვებისთვის, ის მოძღვრებდა დაჩაგრულთათვის. და აი, როცა მას იუდა აბეზლებს და ჰყიდის, მასთან ერთად აბეზლებს და ჰყიდის დაჩაგრულ კაცობრიობას, ჰყიდის სამართლიანობას და კაცთ-მოყვარეობას და მის ალაგას აწესებს ძალ-მომრეობას და უსამართლობას...

და აი, აღდგომა იესოსი არის არა მარტო აღდგომა მისი მოძღვრებისა, არამედ დამარხვაც მოლაღატეობისა და ძალ-მომრეობისა. სინათლემ ბოლოს მაინც სძლია სიბნელეს, იესომ ბოლოს მაინც დათრგუნა იუდა და სწორედ ამას ვდღესასწაულობთ ჩვენ დღეს...

უდა (ს)კარ...
იყვა...
...
...
...
...



მკვლის გვირგვინით მჭმუნვარე შუბლზე
საცემ-საგვეში, დასუსტებული
იდეა ზნობიერ ზილბერს წინა
შავის ფიქრებით კარგმცდელი.
მის ღვთიურ თვალებს წინ აღმართდა:
სამინელება—წამების ჯვარი,
სისხლით მონწყული მთა გოლგოთისა,
შავი სიკვდილი, გლოვისა ზარი...
ტანჯულთ სამსხვერზლო შეკინებული,
გაქვავებული მტარვალთა გული
და კათილი, დაფურთხებული
წმინდა სიმართლე და სიუფარული...
ბრძოლა ბოძებდა, მსაჯულნი ბჭობდნენ,
ატრიალებდა ნესტარს სიკვდილი
და ის-კი იდეა კვალად მღუმარე,
გაწამებული და ფერ-მინდილი...

აჰ, აღსრულდა... ჯვარი წამების
მას მაწოდეს... შეკრთა უფალი...
ადილა ტვირთი და გოლგოთისა,—
წმინდა სამსხვერზლოს მიახურა თვალი...
და მძიმე ტვირთ ქვეშ გასწია იქით,
მიდის ზვარაკი სამსხვერზლოზედა,
მარლი ქვეყნის, ტანჯულთა სისხ
აწ მიდის, მიდის გოლგოთაზედა!
ი. ევლოზილი.

ფიქრი იუდასი.
(ნაწყვეტი)



ათავდა ყველა... იგი შეიპყრეს...
ურთასტანი მონჩა განსაცდელს!
ძლიერი ტომი ისრაელისა
ხვალ განუცხადებს თავის განაჩენს!..
ვერ მოატყუებს ზილატა-მსაჯულს,
თვალს ვერ აუხვევს ცრუ ობიებით
და ვერ აიცილებს სასტიკ სატანჯველს,
გადაწვევტილსა სკერა ხეობით!..
მკრამ ის სხე, სთხრა და მშვიდი,
და ის თვალები, სხივ-მომთინარე,
ვითა აჩრდილი, კვალ-დაკვალ დამდეგს,
ვერ მიხვანია სულის სიწმინარე!..
სად დავიმადო? უფლის მხრადგან
მესმის ყვედრება, კრულვა და წვევა,
და სამარცხენის ცოდვისა ქსელი,
ვითა ეკალი, ირგვლივ შეხვევა!..
თვით ის ფულები, დალატის ფასი,
ხომ მიფურხე ფარისეველებს!
და ეს რაღას, სისხლით შედებილ
ვეცხლში რამ ფურეგ მთრთლვარე ხელებს?!
ვინ მატანს ძაღას? ჭე, თვალნო ჩემნო,
ხუღარ უფურებთ ხურც ვეცხლს, ხურც აჩრდილს!
დადექით, ხელნო, სისხლს ნუ მოიცილებთ
ისრაელთაგან სამართლით დადვრალს!..
სამართლით დადვრალს?... ეს რა ხმა მესმის?!
ვინ? ვინ მესმის „შე, გამცემელი“!..

შე ვარ გამცემი? არა და არა!
მთვინარი, რითაც შემიძლო.
„მთინარი? რაღას გამცემის
აწ სინანული და შეკვეთა?
ურწმუნო ერმა სცა მართლის ვერმადს,
ხერწყვით შევბდალა ქვეყნის დიდება“.
ხერწყვით შევბდალა? დახვდარა სისხლი?
აჰ, სისხლი, სისხლი თვალთ მებვებება!
ნუ ისმენთ, ურნო, თვალნო, დაბრმავდით,
გამიწვევდიდეთ ზეცის მშვენება!..
და ამ ფიქრებით კარე-მცდელი
იგი, დევნილი, ჭკოდება, თრთოდა;
სული ცოდვილი და მოდალატე
დამის წვევდიდში მარტო დაძრწოდა...
განდევილი.

შაანასანელი ლამი იუდა იხპარიოშპილისა.
(ფრანგულიდან გადმოკეთებული)



მზორის ყოფის შემდეგ იუდა დიდხანს გაშტერე-
ბული იდეა ზეთისხილის ტყეში. იგი მისჩერებოდა
მხედართა გროვას, რომელსაც ძე კაცისა შეპყრობილი
მიჰყავდა... ბოლოს გულდაგულ გაეხვია თავისს წითელ
ქლამინდაში და, ჩაფიქრებული, ზეთისხილის ხეს მიე-
ყრდნო, თითქო რასე ელოდებოდა.
ნაშუალამევი იყო. კამკაშა მთვარე თავის ვერცხლის
ფერ სხივებს თვალ-წარმტაცად ჰფენდა წმიდა ქალაქს.
ტაძრის მალლობიდან რაღაც გაურკვეველი ჟრიაშული
მოისმოდა და ამას ბანს აძლევდა გულ-საკლავად მკენე-
სარე ზარნაშოს ხმა. იუდა-კი არ იძვროდა... ამ დროს
უეცრად გაიფრთქილა ლამურამ და თავისი ცივი ფრთე-
ბი ისე მკაცრად შეახო იუდას სახეს, თითქო უნდა ღრმა
ფიქრისაგან გამოარკვიოსო. ისკარიოტელმა თავზედაც
წამოიფარა ქლამინდა და ისევე უძრავად გაჩერდა. მთე-
ლის ტანით ათრთოლებულმა, საჩქაროდ გასწია გეთსა-
მანიის ბალისკენ, სადაც ვილაცის აჩრდილს თვალი მო-
ჰკრა... ის იყო მოხუცი ებრაელი, რომელიც დაჰყრდნო-
ბოდა თავის ყავარჯენს და ღინჯად მოდიოდა ახლად
ამწვანებულ ბალის ხეივანში. იგი მიუახლოვდა მის შესა-
ხვედრად მომზადებულს იუდას, ხმა ამოუღებლად მიუგლო
ფულით საესე ქისა და საჩქაროდ გაუდგა თავის გზას...
„ისე მომიგდეს ეს ქისა, თითქო ძაღლს ძვალი გა-
დაუგდესო“, — გაიფიქრა იუდამ, მაგრამ მაინც აიღო ქისა
და გაიღიმა... გეცხლს საამო წკრიალი გაჰქონდა ქისა-
ში... გამოშორდა ხეების ჩრდილს, გახსნა ქისა და მთვა-
რის შუქზე დაუწყო თვალიერება. ახალი ფულის ელვა-
რებამ თვალი მოსჭრა და, თითქო რაღაც საშინელება
მოუვიდაო, ერთი ძლიერად შეჰკრთა. ბოლოს დასთვალა
ფული: ხელით ასწონ-დასწონა და, ცოტა არ იყოს, არ
ეკაშნიკა, როცა ერთი მათგანი ძველი გამოდგა.
— ესეც კარგია, რომ დანაპირები შემისრულა
მღვდელ-მთავარმა, — ჩაილაპარაკა მან და იერუსალიმისა-
კენ გაემართა. გახარებულს იუდას რამდენჯერმე მოუ-
ლოდნელი ვარამი მოაწვა გულზე, მაგრამ ამავე დროს
მოაგონდა კაიაფას სიტყვები და, ამით გამხნეებულმა,
თავისი გზა განაგრძო.
„ვითომ რაო? — ფიქრობდა იგი, — ცუდი რა ჩავიდი-
ნე? მსაჯულთა ხელს მივეცი სასჯელის ღირსი!.. ცრუ



მოციქული, რომელმაც უარყო მცნება მოსესი, ტაძრის ზღუდეთაგან გაპრეკა ვაჭარნი, რომელიც მდიდართათვის მიუწვდომლად ხადიდა სასუფეველსა ცათასა და ყველა ამასთან თავი თვისი აღიარა მეუფედ ისრაილისა, ღირსია სასჯელისა და მეც, სახელითა ღვთისათა, გავეცი იგი... მაგიერად, როცა დიდებული მზე თავის სხივებს წამებულს იესოს მიანათებს, მე, ამ უბრალოსა და სათნო ისკარიოტელს, ვითარცა მომქმედს საშვილიშვილო კეთილის საქმისა და მხსნელს მთელის ურთიანისას, თაყვანს სცემენ ჭეშმარიტნი ძენი ისრაილისანი: ლევიტელნი, ფარისეველნი და სადუკეველნი; მეგობარნი კეისრისა ღირსეულს პატრეს მომპაპრობენ და თვით პილატე მთელს რომს გააცნობს ჩემს სახელს... დიახ, ჩემი სახელი უკვდავი იქნება ისე, როგორც უკვდავ არიან სახელნი იაკობისა, ილიასა და დანიელისა“.

ასეთ ფიქრებში გართული იუდა მიუახლოვდა კედეც ქალაქს. იგი დარწმუნებული იყო, რომ იესო მღვდელმთავარ კაიაფისას იქნებოდა, უთუოდ მღვდელმთავარი ახლა კითხვა-ძიებაში იყო მასთან და აი, ამიტომაც კაიაფას სახლს მიაშურა. სარკმელთაგან გამომშუქარე სინათლე შორიდანვე დაინახა იუდამ. სახლის აივანზე რამდენისამე კაცის ლანდი მოსჩანდა. ზოგი შედიოდა დარბაზში, ზოგი გამოდიოდა. კიბეზე მოკიანთობდა ლამპრის სინათლე.

მამალმა იყივლა.
„გათენებამაც მოატანა“, — გაიფიქრა იუდამ და გაჩერდა მღვდელმთავრის სახლის კიბესთან. ეზოს შუაგულში მშვენიერი ცეცხლი გაჩაღდებინათ, სადაც ერთი ათორმეტთაგანი პეტრე იჯდა, თბებოდა და თანაც ხმა-მალლა ელაპარაკებოდა ახალგაზრდა მოახლეს.

— ჭეშმარიტად ვფიცავარ, რომ არ ვიცნობ კაცსა მაგას.

მამალმა მეორედ იყივლა.
პეტრე ისე ღრმად იყო ჩაფიქრებული, რომ იუდას მიახლოვება ვერ გაიგო. აშკარად ემჩნეოდა, რომ იგი ყოველად უბედურად გრძობდა თავის თავს. კაიაფას სახლიდან არეული ხმაურობა მოისმოდა. ზოგნი ხმა-მალლა, თავხედათ გაიძახოდნენ გესლიან, დამკინავ სიტყვებს, ხან კი ამათ შორის გამოისმოდა ხოლმე ტკბილი, მომხიბლველი ხმა, რომლის გაგონებაზე ცეცხლის პირას მარტოდ მჯდომარე ვალილეველი მეთევზე ბავშვივით გულ-ამომჯდარი ჰქვითინებდა.

მამალმა მესამედ იყივლა.
პეტრე საშინლად შეჰკრთა. იგი გიჟივით წამოიჭრა ზეზე და... უარის-მყოფელი და გამცემი პირისპირ შეხედნენ ერთმანერთს.

პეტრემ ისეთის გამწარებით გაიკრა ხელი მახვილზე, რომ თავზარდაცემული იუდა მსწრაფლად მოჰშორდა.

ისკარიოტელი დიდხანს დადიოდა ტაძრის სიახლოვეს. იგი შორიდან არჩევდა ადგილს, სადაც უფრო მოხერხებული იქნებოდა მისგან განზრახული ზარაფხანის გახსნა. მღვდელმთავარი და მასთან ლევიტელნიც ხომ დიდ შემწეობას აღმოუჩინდნენ ამ საქმის მოსაწყობათ. აი, იგი ოცნებით ჰხედავს კიდევ ეგვიპტურს, ბერძნულ, რომაულ და სხვა ქვეყნის უძველეს ფულთა გროვას და სასოება ეძლევა.

ამ ფიქრებში იყო გართული იუდა, როცა რაბინი ტაძრის გალავანს მიადგა. ჯერ კიდევ გალავნის კარი არ გაეღო რაბინს, რომ მიუახლოვდა იუდა და მეგობრულის ღმილით მიესალმა. რაბინმა წარბები შეიქმუხნა და სასტიკის ხმით მიჰმართა ისკარიოტელს.

— ფეხი არ გადმოსდგა! არა-წმიდათა შესვლა ტაძრის გალავანში კანონით აღკრძალულია. შენ დღეს გაეც უდანაშაულო მსხვერპლი, რის სასყიდლადაც მიიღე ოცდაათი ვეცხლი. წადი, განმეშორე! თუ არა, გადგენი აქედან, ვითარცა ღვთის მგმობს, კაცის მკვლელს და ცოდვილს!..

იგი განშორდა ტაძარს... გათენდა კედეც... იუდა მიუახლოვდა სამსჯავრო სახლს, სადაც პილატეს თანხმობით უნდა გარდაწყვეტილიყო იესოს ბედი. აქ-კი სრული იმედი ჰქონდა, რომ რომაელები მის დიდ თანაგრძნობას გამოუცხადებდნენ და მფარველადაც-კი გაუხდებოდნენ. მან კარგად იცოდა, რომ ისრაელნი ქედს იდრეკდნენ სიმდიდრის წინაშე და, მაშასადამე, თუ დღეს არა, ხვალ მაინც მის წინაც მოიდრეკდნენ ქედს. „როცა დარწმუნდებიან, რომ ისკარიოტელი რომაელთა მფარველობის ქვეშ არის და მწყალობელად ჰყავს თვით კეისარიც, — მაშინ ფერხთა მტვრად გაუხდებიან მას“...

და ამ ფიქრებით გატაცებული იუდა ყურადღებას არ აქცევდა, როცა გამვლელ-გამომვლელთა თითით საჩვენებლად გამხდარიყო და თვით ფარისეველნი და მწიგნობარნი ზიზლით პირს არიდებდნენ მას. მან ჩქარა გასწია და აი, სრულიად მოულოდნელად საშინელი სანახაობა წარმოუდგა მის თვალს. აუარებელ ბრბოს თავი მოეყარა პილატეს სასახლის წინ და გულ-შემზარავად ჰკითხებდა. იქ იყვნენ: ქურდნი, კაცის მკვლელნი, ფიცის გამტეხნი, ყალბი ფულის მჭრელნი, ავაზაკნი, ცდომილნი და ყოველნი მომქმედნი სიბილწისა და ცოდვისა. ურცხვად მიშტერებოდნენ აივანზე გამოსულ მსაჯულს და უტიფარის კილოთი გაიძახოდნენ:

— ბარაბა!.. ბარაბა განუტევე!..

პილატე რაღაცას ეუბნებოდა ბრბოს, მაგრამ იუდამ ვერ გაიგონა. ყოველი სიტყვა რომის მმართველისა საშინელს კიყინს იწვევდა ხალხში. ბრბო თავისას იმეორებდა.

— ბარაბა!.. ბარაბა!..

იუდა შეერია ბრბოს. რამდენამე მეგობარმა იცნო იგი. კაცის მკვლელნი ულოცავდნენ გამარჯვებას, ხოლო ცდომილნი უღიმოდნენ მას. იუდა მიუახლოვდა სასახლეს და აი, კიდევ გაიგონა ათასოვან ბრბოს ლაღადი:

— ჯვარს აცვ!.. ჯვარს აცვ ეგე!..

პილატე მწუხარის სახით შეტრიალდა სახლში. მას თან გაჰყვნენ თავისი თანამსაჯულნი. აივანზე დარჩა მხოლოდ ქაბუკი ცენტურიონი და მოხუცი რაბინი, რომელიც წინასწარმეტყველთა წიგნს დიდის მოწიწებით კითხულობდა.

ხალხის ყვირილი ცოტ-ცოტათი მისწყდა; ყველა გრძობდა, რომ სამსჯავროს უზარმაზარ კედელთა შორის რაღაც საშინელი ხდებოდა. ამ დროს მოხუცმა რაბინმა უეცრად თვალში მოჰკრა ისკარიოტელს და რამდენიმე სიტყვა წასჩურჩულა ცენტურიონს, რომელმაც იუდას დანახვაზე ზიზლით გააქნია ხელი და საჩქაროდ გაჰშორდა აივანს.

სამსჯავროს ბჭე ნელ-ნელა გაიღო, პილატე ხელ-
ანლად გადმოდგა აივანზე... ყველამ სული განაბა. ერთი
წამის შემდეგ ორმა მხედარმა გამოიყვანა იესო, რომელ-
საც თავზე ეკლის გვირგვინი ედგა და სისხლის წვეთები
რამდენსამე ადგილას ჰქონდა დაწვევ დაჩნეული. იგი ძო-
წეულით იყო შემოსილი.

გაკვირვებული ბრბო ხმა-ამოუღებლად მისჩერებოდა
მას. შემკრთალმა იუდამ უკან დაიწია... პილატემ მია-
შვირა ხელი იესოს და ხმა-მაღლა დაიძახა: „აჰა კაცი
იგიო“!..

უწყალო ბრბოს ხმა გრგვინვასავით გაისმა.

— ჯვარს აცე!.. ჯვარს აცე ეგე!..

დღეათა შორის საშინელი ქვითინი ასტყდა. ერთი
ვიღაც, მეტად აღელვებული გამოიჭრა ხალხიდან, მიუ-
ახლოვდა ტიბერის ქანდაკებას და გიჟივით შეჰყვირა:

— სტიროდღე შენ!.. სტიროდღე იერუსალიმო!.. სტი-
როდღე ლმერთო ისრაილისავ! ვაიმე!.. ვაიმე!..

ცენტურიონი ჩამოვიდა ძირს. მან გასწი-გამოსწია
ხალხი, რათა გზა მიეცა გლოვით მოსულ მხედართათვის,
რომელნიც გარს შემოსდგომოდნენ უდანაშაულოდ და-
სასჯელს მსხვერპლს. ისკარიოტელმა გაპარვა მოინდომა,
არ უნდოდა თვისგან გაცემულის თვალი მოეკრა მისთვის,
მაგრამ ამ დროს ცენტურიონმა ისე მაგრად დაჰკრა ხმლის
ყუა, რომ რეტი დაასხა.

— რად მოსულხარ აქა?—დაუყვირა ყმაწვილმა კაც-
მა,—იმისთვის, რომ დასტკებ ებრაელთა წინასწარმეტყვე-
ლის ტანჯვით! ან, იქნება, ესურს შენის აქ ყოფნით შე-
ჰბლალო და წაბილწო დიდება რომისა! ჩვენი ღმერთები
სასტიკად დევნიან მოლაღატეთ და შენც გასწი აქედან,
რომ სადმე უდაბნოთა შორის დაჰფარო შენი სირცხვი-
ლი...

* *

იუდა მაინც კიდევ აედევნა გოლგოთისაკენ მიმავალ
ხალხს. მაგრამ ბევრი მათგანი, რომელნიც ამ რამდენისა-
მე წუთის წინად ავაზაკ ბარაბას განტყევებას თხოულო-
ბდნენ, ახლა ზიზღით შეჰყურებდნენ ისკარიოტელს. შეში-
ნებულმა იუდამ ველარ გაჰბედა ბრბოს გაყოლა და ერთ
ყრუ ქუჩისაკენ გადაუხვია. მან გადასწყვიტა სახლში წა-
სულიყო და იქ კარგად მოეფიქრებინა თავისი მომავალი.
გზაზე წააწყდა ქალთა და ყრმათა ბრბოს, რომლის დანა-
ხვაზედაც მთელს ტანში ჟრუანტელმა დაუარა. აი, სწორედ
ესენი ამ სამი-ოთხი დღის წინად ყვაველებითა და ბზის
ტოტებით ამკობდნენ იმ გზას, რომელზედაც იერუსალიმ-
ში მიმავალს ნაზარეტელს უნდა გაეელო. აი, ესენი მის-
დევდნენ იესოს, ესენი უგალობდნენ: „ოსანა მაღალთა ში-
ნა! კურთხეულ არს მომავალი სახელითა უფლისათაო“.

იუდამ ქალაქში მიმავალ გზისკენ მოინდომა გა-
დახვევა, მაგრამ ბრბო დაედევნა მას. ყველას მხოლოდ
ეს სიტყვა ეკერა პირზე: იუდა! მოლაღატე! გამცემო!
გამცემო!.. იუდა გარბოდა... ბრბოს წყევლა-კრულვას-
თან მოისმოდა მის მიმართ მისიანებულ ძაღლთა ყეფა-
წუწკუნნი... ქვა ჰერეხივით მოდიოდა.

აღელვებული იუდა მიაწყდა ქალაქის გაღავნის ერთ-
ერთს კარებს. რაკი დაინახა კარი ღია იყო, შურდული-
ვით შევარდა გაღავანში და საცოდავთ მოიკუნტა ბჭის
დიდრონ სვეტებს შორის. ბრბომ აქაც შესდია, მაგრამ
ალოკანა შავნით მყოფმა რომაელმა დარაჯებმა შეაჩერეს

ბრბო. იმათ ეგონათ, ხალხი აღდგა და აქეთ მოელოდნენ
იმისთვის, რომ მეუფე ურიათა გამოიხსნასო.

ცოტა ხნის შემდეგ იუდამ კვლავ განაგრძო თავისი
გზა. იგი გარბოდა; გარბოდა, რაც ძალი და ღონე ჰქონ-
და; თუმცა არ იცოდა-კი—საით. მაგრამ მისთვის ახლა
სულ ერთი იყო, საითაც უნდა წასულიყო. ტიბერის
ტიბისაკენ, სამარიისაკენ, ბეთლემისაკენ, თუ სოლომისაკენ,
ეს მისთვის განურჩეველი იყო, რადგან ერთი და იგივე
შავი ფიქრი ყველგან თან დასდევდა: ის კარგად გრძო-
ბდა, რომ სამუდამოდ დაილუპა...

მას, ერთგულს ქვეშევრდომს კეისრისას, სდევნიან
ისე, ვითა ცოფიან ძაღლს. არც-კი იცის საით წავიდეს,
სად იშოვოს თავშესაფარი ამადამ...

იგი ჩრდილ ქვეშ დაჯდა და დაისვენა, მაგრამ, რო-
ცა მიხედ-მოიხედა, გაოცდა! ამდენი ირბინა, ამდენი გზა
გამოიარა და მაინც კიდევ ვერ განშორებია იერუსალი-
მის მიდამოს... სწორედ იმის პირდაპირ, მთაზე, მოსჩანდა
რომაელთა რამდენიმე მხედარი და მასთან მრავალი ხალ-
ხი. მთის მწვერვალზე-კი ამართული იყო სამი ჯვარი,
რომელზედაც სამი კაცი იყო გაკრული. იუდამ კარგად
იცნო ორ ჯვარს შუა ამართული მესამე ჯვარი და ზედ
განრთხმული იესო. ყველა მოშორდა ჯვარცმის ადგილს.
მხოლოდ ერთი მტირალე ქალი დარჩა იქ. ცოტა მოშო-
რებით იღვწენ ჯვარცმულის მოწაფენი და რამდენიმე ბავ-
შვი, რომელნიც თავდაღმა დამხობილნი იყვნენ.

ამის ნახვამ თითქო გაამხნევა იუდა. „მართალია, მე
ისე მდევნიან, რომ ურისტანში აღარ მედგომება, მაგ-
რამ, საცა უნდა ვიყო, ცოცხალი ხომ ვიქნები და ის-კი,
ვისთვისაც მე ასე მომეპყრენ—ჯვარზე მილურსმულია.
ამასთან, მე ქისაც საესე მაქვს ფულით“...—ჰფიქრობდა
იუდა და ამით დამშვიდებული კვლავ გაუდგა გზას.

უეცრად საშინელი კორიანტელი ასტყდა. მზე და-
ბნელდა. იერუსალიმი წყვდიადმა დაჰფარა. იუდას ახლო
საშინელი მეხი გაეარდა, მოჰხვდა კლდეს და შუა გააპო.
იქ-კი, შორს, ეღვით განათებულ მთის მწვერვალზე მაინც
მოსჩანდა სამი ჯვარი ზედ მილურსმულის სამის ჯვარცმუ-
ლით, რომელნიც თითქო თვალს თვალში უყრიდნენ გა-
მცემელს.

შიშისაგან გარემოცული იუდა დაეარდა მიწაზე და
ქლამინდით შეიბურა თავ-პირი.

* *

იგი მხოლოდ საღამო ხანს წამოდგა ზეზე, გოლგო-
თისაკენ-კი აღარ გაუხედავს. ყველგან სამარისებური სი-
ჩუმე სუფევდა. რანაირად ენატრებოდა, რომ შეხვედრო-
და ისეთს კაცს, რომელიც რიგიანად ხმას გასცემდა, შეი-
ბრალებდა... ღამის სიბნელე თანდათან ახლოვდებო-
და და ეს უფრო აკრთობდა იუდას: იგი ისევე იერუსა-
ლიმისაკენ გაბრუნდა და დაღალულ-დაქანცული დაჯდა
გზის პირად...

მთვარე-ვარსკვლავნი მკრთალად დანათოდნენ დღეამი-
წას. უტბად ვიღაცის ფეხის ხმა შემოესმა იუდას. აი, გა-
მოჩნდა კიდევ წელში მოხრილი კაცი, რომელიც გაჩქა-
რებული მოდიოდა. მას ხელში ჯოხი ეჭირა და უხალისოდ
ურტყამდა ქვეშე.

მგზავრმა გვერდით ჩაუარა იუდას.
— აღასთერ! წამოიძახა ერთმა ათორმეტთაგანმა,—
აღასთერ!—მგზავრმა უკანაც არ მოიხედა. იუდა გამოუ-
დგა მას.



— ალასთერ, ნება მომეცი, რომ შენთან ვიარო. სადაც შენ წახვალ, მეც თან მოგყვები, სადაც შენ გაჩერდები, მეც იქ გავჩერდები, გემსახურები, გემონები, ოღონდ-კი ამ ღამეში მარტო ნუ დამაგდებ!—ვევდრებოდა იუდა.

— მე შორს მივდივარ,—ძლივს აღირსა პასუხი მგზავრმა,—შორს, სირიისაკენ, ეგვიპტისაკენ, აზიის შუაგულისაკენ, რომში... მე ვერც გავჩერდები სადმე და არც ძილსა და მოსვენებას ვიღირებ. იესოს მიმართ ვერ გამოვიჩინე გულ-მტკივნეულობა და ამ ჩემს შეცოდებას საუკუნო წანწალით შევინანებ. ხოლო სისხლი ამ წინასწარმეტყველისა ჩემსხელს არ აცხია და, გახსოვდეს, იუდავ, რომ ფეხით გავსრეს ყოველს ბოროტსა და საზიზღარს, ვინც-კი გზაზე შემხედვება...

ამ სიტყვებით რეტ-დასხმული იუდა კარგა ხანს იყო გაშტერებული... ბოლოს მოაგონდა, რომ იერუსალიმის ახლო, ერთი ღელის პირად პატარა დანგრეული ქოხები იყო, სადაც კარ და კარ მოწანწალე ქურდები ღამეს ათევენენ, და იუდამაც ამ ადგილს მიჰმართა, რომ გათენებამდე თავი როგორმე შეეფარებინა იქა.

* *

იუდამ ჯუჯრუტანიდან დაინახა ბარაბა, რომელიც ხალხის სურვილით გაათავისუფლა პილატემ, და ამიტომაც თამამად შეაღო ქოხის კარები.

— ბარაბა! დავილაღე... მცივა... მშინან... მეშინიან... ნება მომეცი, რომ ეს ღამე ამ შენს ქოხში გავატარო. აი, ძირს, მიწაზე დავეგდები...

ბარაბა განრისხებულის სახით მიუახლოვდა შემოსავალ კარებს.

— როგორ! შენ გინდა წაბილწო ბარაბა? მე რომ შენ აქ ღამე გავათევინო, ხვალ მთელი ქვეყანა ქვით ჩამქოლავს და ღირსიც ვიქმნები!.. გესმის, იუდა! მე არა ერთი და ორი ებრაელი მომიკლავს, მე მომიპარავს აუარებელი ოქრო და ვეცხლი, გამიძარცვავს თვით მღვდელმთავარი, გამიტეხია ტაძრის ხელ-უხლები კიდობანი და ყოველი ძვირფასი სამკაული წამომიღია, მაგრამ არასოდეს კაცი არ გამიყიდნია და უდანაშაულო მსხვერპლი ჯალათის ხელთ არ მიმიცია. უფრო ადვილად შევიძლებ ჩემის ხელით დავახრჩო, ვიდრე იმას, რომ შენ შემოგეშვა და ეს ღამე შენთან ერთად, ერთ ქერ ქვეშ გავატარო. თუ გეძინება, გოლოგოთა შორს არ არის, წადი იქ, აი, მხოლოდ იქ შევიძლიან მოსვენებით დაიძინო, დიახ, იქ, იმ ჯვართან, რომელზედაც შენი მოძღვარია მიღურსმული. ჩემი ქოხის კარი ყველა დამნაშავესთვის ღიაა, მაგრამ მოღალატეს-კი თვით ეს ჯურღმულის მსგავსი ქოხიც შეაჩვენებს და არ მიიკარებს. კაცის გამყიდველს ბარაბასთან ადგილი არა აქვს! წადი!..

და იუდა კვალად დაძრწოდა ზეთისხილის ხეთა შორის... ყოველს მის ტანჯვას წყურვილიც ზედ დაერთო. იგი, საცოდავთ ხახა გამშრალი, გიჟივით დარბოდა და წყალს ეძებდა. ამ ძებნის დროს ერთი საშინლად დაიღრიალა და თავ-განწირული დაასკდა მიწას. ის მისუღიყო იმ ხესთან, რომლის ძირში ამბორი უყო თავის მასწავლებელს. იუდა დიდხანს სტეროდა გულ-ამომჯდარი.

ბოლოს, როგორც იყო, მიფორთხდა იაკობის წყაროსთან, რომელიც დიდრონ ნაძვის ხეთა ტოტებით იყო დაფარული. ამ წყაროსთან ხშირად მჯდარა ხოლმე იესო

თავის მოწაფეებით, რომელთა შორის გამცემელიც ერია.

იუდა მიუახლოვდა წყაროს და, რადგან წყლის ამოსაღები ქურქელი არა ჰქონდა-რა, გამხმარი და გაფიცებული ბაგე წყაროს კიდეს მიაპყრო, რომ ცეცხლ-მოდებული ხორცი ცივი საგნის მიკარებით გაეგრძობინა.

* *

ხეების იქით სრულიად მოულოდნელად გამოჩნდა თეთრით მოსილი ქალწული. მას სახელოები გადაწვია და ბროლივით თეთრი ხელებით კოკა გავდგა მხარზე. აი, მიუახლოვდა წყაროს. იუდამ შეჰხედა მას და ათრთოლებულის ხმით სთქვა:

— მწყურიან!..

ყმაწვილი ქალი ისე შეკრთა, თითქო ქეჩო აყრილ აფთარს შეეფეთაო.

— მწყურიან, — გაიმეორა იუდამ.

— ვინც შენ გავცი, სწორედ იმანაც მაგრე წარმო-სთქვა ჯვარზე „მწყურიანო“, ხოლო რომაელებმა ძმრითა და ნალვლით გაჟენთილი ღრუბელი მიაპყრეს ბაგესა მისსა...

ამ სიტყვასთან ქალმა თოკზე მობმული კოკა გადაუშვა წყაროში და წმინდა, ანკარა წყლით სავსე ქურქელი მიაწოდა იუდას.

რხკარიოტელი სდუმდა... იგი ვერხვის ფოთოლივით თრთოდა ამ უმანკო ბავშვის წინაშე... სირცხვილის ოფლი ჩამოსდიოდა...

— სახელითა იესოსითა მიიღე წყალი ესე...— წყნარის ხმით უთხრა ქალწულმა და ახლოს მიაწოდა ქურქელი.

იუდა მხურვალედ დაეწაფა ცივ წყალს... და როცა წყურვილი მოიკლა, ქალმა კვალად აავსო თავისი კოკა, გაიდგა მხარზე და წყნარად გაუდგა თავის გზას.

„მერე ვინ არის იგი, რომლის სახელითაც ამ უმანკო ბავშვმა მოწყალეობა მოიღო ისეთ კაცზე, ვისაც ყველამ ზიზღით ზურგი შეუბრუნა?“ — ჰფიქრობდა რხკარიოტელი და თან ჩარბებს იკვნეტდა.

იუდა რამდენსამე წუთს გაშტერებული იდგა წყაროსთან... უეცრად სასოწარკვეთილებით გააქნია ხელი და შურდულივით გაექანა ტოტებ შემხმარ ხისაკენ. მან საჩქაროდ მიაგლო თავისი ქლამინდი, ზედ მიმოჰფანტა ღალატის საფასურად მიღებული ვეცხლი, ხის ტოტს შესტყორცნა თავისი გრძელი სარტყელი და თავი მარყუქში გაუყარა...

თავის-მკვლელის ფეხქვეშ გაშლილი წითელი ქლამინდი ისე მოსჩანდა შორიდგან, თითქო სისხლის გუბე სდგასო. მთელ ღანეს ქვემძრომთა ბუნაგად გადიქვა ისკარიოტელის სამოსელი, ხოლო დილას, როდესაც მზემ თავისი სხივები ქვეყანას გადმოაფრქვია, უზარმაზარი ქორი დასტრიალებდა ცოდვილის ლეშით დამძიმებულ ხეს. განდევნილი.

შინაური მიმოხილვა.

თფილისის საბჭო და ქალაქის საქმეთა საკრებულო კიდევ დავაში არიან. საბჭო არ ეთანხმება საკრებულოს და საკრებულო საბჭოს. ამ დავაში არ შეგვიძლია საბჭოს მხარე დავიჭიროთ. საბჭოს განაჩენი თფილისის სამსარჩენო რაიონათ დაცოფის შესახებ მიიღო საკრებულომ, მხოლოდ არ

მიიღო მისი უბნების დანაწილება. ამაზე ისე განრისხდა საბჭო, რომ სრულიად გააუქმა სამათ დანაწილება და დაადგინა ერთათ მოხდეს არჩევანი. საკრებულომ, თავის მხრივ, აი ეს განაჩენი გააუქმა და თავისი წინანდელი განჩინება წამოაყენა. ამ ამბავმა საბჭოში კიდევ დიდი კამათი გამოიწვია 26 მარტს და ბევრმა ისეთი ახირებული აზრი გამოთქვა, რომ ღირსია მათი გაცნობა, ხმოსნების დასახასიათებლათ, რასაკვირველია. ბ. ალიხანოვი ამბობს: „თუ საბჭო უარჰყვანს თავის წინანდელ განჩინებას (ერთადგილზე არჩევანს), მაშინ მე მოვითხოვ ქალაქის ოც საარჩევნო ნაწილათ დაყოფას“. ბაბოვი: მე წინათ სამ ნაწილათ დაყოფის მომხრე ვიყავი და თუ ახლა ერთს ვამჯობინებ— ეს იმისთვის, რომ საბჭოს სახელი დავიცვაო! ქიუჩარიანცი: ყველაფერში საბჭოა დამნაშავე, მოინდომა არჩევნების ახალი წესები. ახლა ხომ ვხედავთ, რომ ახალ წესებს ვერ ვითვისებთ, სჯობს ისევ ძველებურათ ვივართო! ბაბოვი (მეორე-ჯერ): სჯობია არჩევანი ერთ ალიგას მოხდეს, ამით ყველას ანტერესა დაკულ იქნება! და სხ. ერთი სიტყვით, ხმოსნებს ისე არეგია დაეთარი, რომ რა უნდა თქვან, არ იციან. და ეს სულ იმის ბრალია, რომ საკრებულოს მიერ განაწილებული უბნების სოლოლაკელთა პარტიას უმრავლესობას არ მისცემდა და ასე საბჭოში დღევანდელი პარპაშობა მოისპობოდა. ამიტომ რაღა გასაკვირველია, რომ ისინი უკანასკნელ სისხლის წვეთამდის იბრძოდნენ თავის ბატონობისათვის. და აი, ხმის უმეტესობით, ხელ-მეორეთ დაადგინეს არჩევნები მოხდეს ერთ ალიგასო, გასაკვირველია, რომ საბჭო სრულიად არ უყურებს საზოგადო აზრს ამ საგნის შესახებ, თითქმის მთელმა ადგილობრივმა პრესამ სამი საარჩევნო ნაწილი სცნო სამართლიანათ, საზოგადოებაც ამას ემხრობა; რაიცა თავის პირით ალიარა ხმოსანმა ქიუჩარიანცმა, და, მიუხედავთ ამისა, საბჭო მაინც თავისას გაიძახის. ამაზე უფრო ყალბი მდგომარეობა რომელიმე საზოგადო დაწესებულებისა შეიძლება? მის წინააღმდეგ არის მთავრობა და საზოგადოება, ხოლო ბაბოვი-კი აცხადებს, საბჭოს სახელი დავიცავათო! ვის წინაშე? საზოგადოების? რაში? უსამართლო საქმეში? იყავით სამართლიანი და მაშინ საზოგადოებაც დაგეხმარებათ, სინამდვილეში კი რაიმე ბეჭდით დაგეხმარებოდნენ.

ეს ატყვევებენ ვერ იქნება * * * * *
 კვირას, 25 მარტს, თფილისის სამეურნეო ბანკის წევრთა კრებას დავესწარით და უნდა ვთქვათ, რომ არც ერთ კრებაში საქმის ისეთი უცოდინარობა არ გვინახვს, როგორც აქ ვნახეთ. საქმეზე დიდათ არც წევრები იწუხებდნენ თავს და არც გამგეობა. ამ უკანასკნელმა ერთი მოხსენებაც ვერ წარმოადგინა შესახებ სოფლათ კრედიტის გაცემისა, რაიცა შარშან მას კრებამ დაავალა. და არა თუ მოხსენება, თვით გამგეობაშიაც არ გაურჩევიათ ეს საკითხი და ერთ რაიმე გზას არ დადგომიან. მეორე მხრით, ახალ გამოჩეკილ ოპოზიციასაც არა წარმოუდგენია რა გამგეობის დასამარცხებლათ და თავისი აზრის გასაყვანათ. ოპოზიციონისტები სრულიად მოუშადებლათ გამოცხადებულან და მხოლოდ იქ, კრებაზე, ამზადებდნენ თავის „რჩევს“ და გამგეობასაც დიდი ჯაფა არ სჭირდებოდა მათ დასარღვევათ. მაგ., ოპოზიცია თხოულობდა—სოფლის წვრილ მეურნეთ მიეცეთ კრედიტიო. გამგეობამ უპასუხა: წვრილი მეურნენი უფრო გლეხობაა, ხოლო ამათ საკუთრება არა აქვთ (ქართლ-კახეთში) და

რის იმედით მიეცეთ სესხიო? ამას გარდა, სესხის ემეტი უნდა ვიცნობდეთ, მისი უნარი შრომისა, პატიოსნებისა და სხ. წარმოდგენილი უნდა გვქონდესო. და, მართლაც, თფილისიდან სადღაც მიყრუებულ სოფლის კაცისათვის სესხის მიცემა—ეს დიდი რისკია ბანკისათვის, ასში ნახევარი მაინც დაიკარგება და ბანკიც უნდა დახუროს, მეტი გზა არ დარჩება. აშკარაა, ბანკის წევრთ არა აქვთ წარმოდგენილი ამ ბანკის ბუნება. აქო-და „სამეურნეო“ ჰქვიაო—უთუოდ მეურნეთ, და ისიც წვრილთ, მიეშველოსო. მაგრამ ეს მხოლოდ კეთილი სურვილია და მეტი არაფერი. ნამდვილათ-კი ეს ბანკი არის ქალაქის წვრილი ვაჭრების, ინტელიგენტების, სხვილი მემამულეების და სააღებ-მიცემო საზოგადოებებისა. აი, ამათ უნდა ვაწვდეს ის და თუ ამას ვერ შერება—გასამტყუნარო და გასაკიცხნია. მარტო ეს რომ მოეთხოვა ოპოზიციას—გამგეობას ბევრი არაფერი ექნებოდა სათქმელი. მაგრამ მან ეს არ იკმარა და მოინდომა მისთვის თავზე მოეხვია სასოფლო ბანკის თუნქიაც... აი, ამან წაახდინა ოპოზიციის საქმე და გააკეთა გამგეობისა... * * *

ქუთაისში კიდევ ვერ დაწყო ქალაქის საქმეები. 26 მარტს დანიშნული ქალაქის თავის არჩევანი არ შესდგა და გადაიდგა ერთი თვით. მიზეზი უკანდიდატობა ყოფილა. საკვირველია, ღმერთმანი, ქუთაისში, სადაც თვითოეული „კენჭობაზე“ ოცნებობს, კანდიდატი ვერ მოუნახავთ! ცხადია, ქალაქის თავობა არც ისე ადვილ ხელობათ მიაჩნიათ, როგორც აქამდის ეგონათ და ეს უეჭველათ ერთი ნაბიჯის წინ გადადგმას მოასწავებს. ერთად ერთ გამოცხადებულ კანდიდატს ბ. ზდანოვიჩის წერილობით უარი განუცხადებია კენჭის ყრახე და ასე, ოპოზიცია დარჩენილა უკანდიდატოთ. ჩვენ აქ არ შევუდგებით იმის გამორკვევას, თუ რატომ უნდა ეთქვა უარი ბ. ზდანოვიჩს, ვიტყვით მხოლოდ, რომ ერთი კვირის წინ თანხმობა, და ორი დღის წინ უარი—ვერათფერი თავდებია „პარტიული დისციპლინის“ და ხასიათის სიმტკიცისა. მეორე გამოცხადებულ კანდიდატს ბ. კიქოძეს თვით საბჭოში უთქვამს უარი საყვედურით, რატომ კომისიამ მეც არ მომმართა და არ მთხოვაო. ბ. თოფურიას ეს ასე აუხსნია: ჩვენ განსაკუთრებით სახეში გვქონდა ქალაქის ინტერესები, რომლის მეთაურათ გვსურდა კაცი, საქმიანი და ორი მოპირდაპირე პარტიის მომარტყველიო. ამით შეიძლებოდა პარტიათა ბრძოლა, რაიცა ასე აბრკოლებს ქალაქის საქმეებს, შესუსტებულიყო. ეს არის ერთად ერთი სამართლიანი შეხედულობა დღევანდელ ქუთაისის მოღვაწისათვის და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ის თავის პირველ განხორციელებას ქუთაისის საბჭოში მოიპოვებს... * * *

ერთი ახირებული არჩევანი გასულ კვირას ბათომში მომხდარა. იქაურ საურთიერთო კრედიტის ბანკის დირექტორის ადგილზე კენჭი უყრია სამ პირს: ნ. პ. ნაკაშიძეს, ნ. ჯაყელს და კ. ჩხვიძეს; გათეთრებულია პირველი. ბ. ნაკაშიძის წინააღმდეგ ჩვენ არა ვვაქვს-რა და ეს შენიშვნა მას სრულებით არ შეეხება, ჩვენ გვინტერესებს მხოლოდ ბათომის საზოგადოება და მას ვკითხავთ: რით ხელმძღვანელობდა ის, როცა მისთვის სრულიად უცნობ პირს ირჩევდა? ბ. ნაკაშიძე ჯერ არავითარ საზოგადო



სარბიელზე არ გაუცვნიათ, მისას არც ავს იცნობენ და არც კარგს, მაშინ, როდესაც ბ. ნ. ჯაყელი და კ. ჩხეიძე კაი ხანია ბათომში ცხოვრობენ და მოღვაწეობენ და, რამდენათაც ვიცით, არც ერთ ამთვანს ცუდი რამე საზოგადო საქმეში არ შეუტანიათ. ერთი სიტყვით, ბათომელები აშავებებენ იმათ, რომელნიც ასე თუ ისე ცნობილნი არიან თავიანთი მოქმედებით ქ. ბათომში და ათერთებენ მისას, ვინც შეიძლება ჩინებული კაცი იყოს, მაგრამ რომელსაც სრულებით არ იცნობენ და არც რაიმე საქმეში გამოუცდიათ. რით უნდა აიხსნას ეს? ცხადია, ბათომელებისთვის ვილაკას თუ ვილაკებს კერძოთ, ჩუმათ გაუცვნიათ უცნობი კანდიდატი და რეკომენდაცია გაუკეთებიათ—კაი კაცი არისო. ეს კერძო ამბავი თუ ჩურჩული ბანკის წევრთ დაუჯერებიათ და ასე, ჩვენებურათ-ძველებურათ, არჩევანი მოუხდენიათ. აშკარაა, ამრჩევლები ხელმძღვანელობდნენ აი ამ კერძო დაპირებით და შიშქმა-მოთქმით და არა საზოგადო საქმის სიყვარულით. მათ ვილაკების ხათრი არ გაუტენიათ და ამნაირათ, საქმიანი არჩევნის მაგიერ, „ხათრის არჩევანი“ გამოსვლიათ. ეს ნიშნავს იმას, თუ რამდენათ მოუმზადებელი ვართ ჩვენი საქმეების საწარმოებლათ და რამდენათ საქმეს ნაცნობ-მეგობრობას ვუმორჩილებთ. ჩვენ თუ ვინმეს ვირჩევთ—ვირჩევთ იმიტომ, რომ ის ჩვენი, ან ჩვენი ნაცნობ-მეგობრის, ნაცნობ-მეგობარია... აი, ეს კიდევ ერთხელ დაგვანახვა ბათომის არჩევანმა. ეს, როგორც ვთქვით, ეხება ბათომელებს და არა ნაკაშიძეს, რომელიც, იმედია, ახალ სარბიელზე თავს გამოიჩინოს და კვალსაც დასტოვებს.

ს ხ ე ა - და - ს ხ ე ა ა მ ბ ე მ ი .

ქუთაისის გუბერნიის საქალაქო საქმეთა საკრებულომ გააუქმა ბათომის საბჭოს განაჩენი მ. პალმის გაკიცხვის შესახებ.

ამავე საკრებულომ მოისმინა მოხსენება ქუთაისის ქალაქის გამგეობის საქმეების რევიზიის შესახებ და დაადგინა სარევიზიო კომისიის მოხსენება გამომძიებელს გადაეცეს საქმის გამოსაძიებლად და გამგეობის სამართალში მისაცემად.

მიწად-მოქმედების დებარტამენტის განკარგულებით, იმის გასაგებათ, თუ სად როგორ იხარებს ჩაის ხე, დაუროგეს ქუთაისის გუბერნიაში, ოზურგეთის მაზრაში, კერძო პირებს და სკოლებს ჩაის ნერგები. დარიგებული ნერგები ნამდვილ ჩინური თესლისაა; მიმდინარე წელს კი განზრახვა აქვთ „კანგრა“ სცადონ.

22 მარტს საუფლისწულო უწყებამ გაჰზავნა კახეთში საზღვარგარეთიდგან მიღებული სეტყვასთან საბძოლველი 14 ზარბაზანი. ამ ზარბაზნებს ნაფარეულის საუფლისწულო მამულში დააწყობენ და მომავალ ზაფხულში შეუდგებიან იმათ შემწეობით სეტყვასთან ბრძოლას.

გარდაცვალებულ კონსტანტინე იაკობის-ძე ზურაბიშვილს თფილისის სახალხო სახლისთვის უანდერძებია 100,000 მანეთი იმ პირობით, რომ სახალხო სახლი აშენდეს იმის სახელზე, ააშენონ იგი ქალაქის შუაგულში და ჩაირიცხოს ქალაქის საკუთრებად.

გასულ წელს ბათუმიდან და ფოთიდან გაუზიდავთ 30,222,348 ფუთი მარგანეცი.

გორის ქალაქის თვით-მმართველობამ წარმოუდგინა გუბერნატორს საქალაქო ქსენონის ინსტრუქციისპროექტი. ამავე ქალაქის წარმომადგენელთა უკანასკნელ სხდომაზე განუხილავთ კითხვა გორში პროფესიონალურ სასწავლებლის დაარსების შესახებ.

ქიათურის მარგანეცის გადასატანათ ამ ცოტა ხანში რკინის გზა გამოუშვებს 6 ლოკომოტივს და 200 ვაგონს. ამით ცოტათ მაინც შემცირდება გაქირვება მარგანეცის გადაზიდვაში.

ქუთაისის რეალურ სასწავლებლის დირექტორი აცხადებს, ამ ჟამად ამ სასწავლებლის არც ერთ კლასში არ არის თავისუფალი ვაკანსია და ახალი შეგირდები არ მიიღებიანო.

გაზ. „Тер. Вѣд.“ სწერს: „ამ ჟამად ოსეთის სამრევლო-საეკლესიო სკოლებში სახელმწიფო ენას იმისთანა სახელმძღვანელოებით ასწავლიან, რომელნიც ავტორებს ადგილობრივ მკვიდრთა (არა რუსთა) სკოლებისათვის არ შეუდგენიათ, ამის გამო მოსწავლენი ცუდათ ითვისებენ რუსულს ენასა და ნ—ნ წლის სწავლების შემდეგ არამც თუ წაკითხულის გაგება, თავისუფლათ ლაპარაკიც-კი რუსულს ენაზედ არ შეუძლიანთ. ამ სამწუხარო მოვლენის თავიდან ასაცილებლად, საებარქიო საბჭოს არდონის განყოფილებისას განუზრახავს ოსეთის სკოლებში ბ.ნ გოგებაშვილის სახელმძღვანელო შემოიღოს, რომელიც სპეციალურად ადგილობრივ მკვიდრთა (არა რუსთა) სკოლებისთვის არის შედგენილი და რომელიც უკვე შემოღებულია არამც თუ კავკასიაში, არამედ ყაზანის გუბერნიის სკოლებშიაც“.

პეტერბურგიდან გვწერენ. „ამ დღეებში აქაურ უნივერსიტეტის აღმოსავლეთ ენების ფაკულტეტზე საპრივატდოცენტო და სამაგისტრანტო ეგზამენები დაასრულა თ. ივანე ჯავახიშვილმა, რომელიც უნივერსიტეტის მიერ დატოვებულია ამავე ფაკულტეტზე ქართული ენის კათედრის დასაჭერათ.

გარდა ჯავახიშვილისა ამავე უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე საპრივატდოცენტო ეგზამენებს იქერს დღეს მეორე ქართველი თ. ზურაბ ავალიშვილი, რომელიც აგრეთვე დატოვებულია ნახსენებ ფაკულტეტზე.

19 მარტს დაამთავრა თვისი ლექციები „ბიოლოგიაზე“ პროფ. ივ. თარხნიშვილმა. ამ უკანასკნელ ლექციას ორზომათ მეტი მსმენელები დაესწრო. ლექტორმა თვისი უკანასკნელი ლექცია მოანდომა პარიჟში პასტერის ლაბორატორიაში მომუშავე ცნობილ მეცნიერის მეჩნიკოვის უკანასკნელ აღმოჩენას—მსხუტებულობის გაჯანმსაღებლობას.

გამოვიდა მე-III ნომერი „ჯეჯილისა და დაურიგდა ხელის-მომწერლებს.

რედაქციამ მიიღო ორი ახალი წიგნაკი: „აკილო“, ი. გოგებაშვილისა და „გუსტავ ვაზა“. უკანასკნელი წიგნი ან. წერეთლის მიერ არის თარგმნილი და „ჯეჯი-

ლას“ რედაქციის გამოცემა. წიგნაკში აწერილია გუსტავ ვახას ცხოვრება და მოღვაწეობა. ეს პირი იყო შვეციის შესანიშნავი მამულისშვილი და მეფე, ცხოვრებდა მეთექვსმეტე საუკუნეში. მთელი თავისი სიცოცხლე შესწირა სამშობლო ქვეყნას; ჯერ გაათავისუფლა ის დანებლების ბატონობისაგან, შემდეგ გამეფდა და მისი მეფობა წარმოადგენს შვეციის ისტორიაში ერთ საუკეთესო ხანას სხვა-და-სხვა სასარგებლო რეფორმების შემოღებითა და სწავლა-განათლების გავრცელებით. ასეთი თემა ფრიად სასარგებლოა პატარა მკითხველებისათვის. წიგნაკი კარგის ენით არის თარგმნილი და, თუმცა 59 გვერდს შეიცავს, მაგრამ ღირს მხოლოდ ერთ შაურათ.

მ მ რ მ ს კ მ ნ დ მ ნ ს ი მ ი ი.

სადგ. ასკანა (გურია). სკოლა და ბიბლიოთეკა... აი რა უტუარა ფაქტორი, ჩვენის პრეზიდენის მასუღდმუღუბელი და მაცოცხლებელი. ესენი ხელი-ხელ გადახვეულები უნდა მოქმედებდნენ, მაგრამ მათს მოქმედებას ხშირად წინ სხვა-დასხვა დაბრკოლება ედებოდა. ასეთმა დაბრკოლებამ ასკანაში იხინა თავი. ჩვენი ბიბლიოთეკის საქმეები უკიდურეს მდგომარეობაში არიან. აქ არ არის არავითარი განსჯადი რგანიზაცია—ბიბლიოთეკას არ ჰყავს მუდმივი წევრები და შემოწირულებას მხოლოდ „სამწყვალას“ ხსიათი აქვს. ეს არც შეიძლება სხვა გზად იყოს ეხლანდელ მდგომარეობაში. მოგესხენებათ, ჩვენი ბიბლიოთეკის გამგე, ბ. ჭეიშვილი, „შუამავალის“ გამგეც არის. ბ. ს. ჭეიშვილს ერთ-ხელ მოუგია ხალხის გული და სარგებლობს მით. ასეთს ზირს, რომელიც ხან მარჯელშია, ხან ბათობში და უფრო ხშირად-გიოზურგეთში, არ უნდა—სხვას გადასცეს ბიბლიოთეკის წინამძღოლობა—მართვა-გამგეობა. შედეგი-კი უფლასათვის თვალ-სწინაა: სმპითხველო სრულიად ვერ აღწევს მიზანს, კანცლაკეკეუღია საზოგადოებისაგან და შეადგენს რაღაც ხელ-უნლებელ სუფხეს*). ამ მხრივ ბევრით წინ დგას ხადისთავის ზაწაწა სმპითხველო, რომელიც ნაკთაყრა სიმიდარით ბევრით ჩამოუვარდება მას. რატომ არ იღებენ სმპითხველოს ბედ-იღბალში მონაწილეობას ადგილობრივი მასწავლებლები? იმედია, ამ კითხვაზე ისინი თითონ მოგვეტყვიან ზსუსს.

4 მარტი შესანიშნავი დღე იყო ასკანის ცხოვრებაში. ამ დღეს შედგა მეორე წლიური კრება ასკანის შემსახველ-გამსესხებელი ამხანაგობისა. ამ კრებამცხდათ დაკვანხვას ზოგიერთ მოდღაწეთა „ფარული გზები“ და „მამა შვილური“ დამოკიდებულება მათ შორის. 18 თუბერვალს, ზირველს კრებაზე, ამხანაგობის გამგემ ბ. სიმონ შარაშიძემ, წესდების 110 მუხლის ძალით, არ აარჩევია საზოგადოებას თავმჯდომარე საბჭოს წევრებიდან. 4 მარტს-კი ამავე გამგემ უკან წაიღო თავისი სიტყვები და სთხოვა საზოგადოებას: თავმჯდომარედ აერჩიათ საბჭოს წევრი ბ. სოლომონ ჭეიშვილი. ჩვენ, რამდენიმე ზირმა, უკმაყოფილება გამოვაცხადეთ ბ. შარაშიძის და ბ. ჭეიშვილის მოქმედებაზე, მაგრამ ბ. ჭეიშვილმა უკვე დაიჭირა თავმჯდომარის ადგილი და ჩვენ სიტყვის თქმა აგვიკრძალა. ზირველი კითხვა წარსული წლის ანგარიშის დამტკიცება იყო. საბჭოს (იგივე რევიზიის) წევრები ვერ იძლეოდნენ კარგეულ ზსუსს. ერთი წევრი ბ. დ. ჭეიშვილი ახალს სარევიზიო კომისიას თხოულობდა საბჭოს მოქმედების გამოსწორებას, მაგრამ მისი სთუქვლიანი კითხვა დარჩა მხოლოდ „ხმად მღადადებლისად“. ანგარიში მიღებულ და და-

*) ამ ბოლო დრომდის აქ არც ერთი ჟურნალ-გაზეთი არ მოსულა ახალი წლიდან-

მტკიცებულ იქნა. შემდეგი კითხვა—გამგეობის წევრების არჩევა იყო. ერთი დაუდგეს ექვს კაცს: სვე. ბასტაძეს, მ. შარაშიძეს, ს. ჭეიშვილს, დ. შევარდნაძეს, დ. შევარდნაძეს და ან. ჩხაიძეს. ამთგან არჩეულ იქნენ—გამგეობის წევრებათ: ს. ბასტაძე და მ. შარაშიძე; საბჭოს წევრებათ: ს. ჭეიშვილი და დ. შევარდნაძე. შემდეგ დასმული იყო კითხვა: რა ვუყოთ წარსული წლის მოგებას—გავიტანოთ, თუ ისევე დავტოვოთ და სწევრო ფულს მივუშატოთ. წლიური მოსატეები ამხანაგობის თითოეული წევრის თან-და-თან კლებულობს: ზირველ წელიწადს უფოილა 4 მანეთი და 19 კაპეიკი, შემდეგ ხელ-ხელა უკლას და წელს 2 მან. 40 კაპ. არ აღმატება. ამან გვკვი დაბადა და დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. ექვსის გასათანტავათ თავმჯდომარემ დიდი სიტუვა წარმოთქვა, მაგრამ იგი ჩვენს ჭეიშვილს მარტებათ არ მიგვანხია და ვითხოვთ ბ. ჭეიშვილს ზსუსს. გადაწვიტეს: წევრებს ეხლავე დაურიგდეს ხვედრი სარგებელია. შემდეგი კითხვის გადაწვიტა—ახლის წევრების მიღება—დაუვალა საბჭოს. აქვე აღენიშნავთ ერთ გარემოებას: 1899 წლის განმავლობაში დაკარგულა 75 მანეთი. ერთი ვიკითხოთ: სად ბრძანდებოდნენ საბჭოს წევრები, რამ წინა კრებაზე არ განაცხადეს ეს ამბავი?

მოსე ნინიძე.

რ უ ს ი თ ი ს. მ ხ მ რ მ მ მ.

ზამოქვეყნებულ იქნა შემდეგი უმადღესი ბრძანება გენერალ-ადიუტანტის ვანოვსკის სახელობაზე: „ზეტრე სიმონის-ძე. სწავლა-განათლების საქმის კარგად და სწორედ მოწოდება უფელთვის უმთავრეს საზრუნავს შეადგენდა რუსეთის ხელმწიფეთა, რომელნიც მტკიცედ სტდილობდნენ ამ საქმის განვითარებას რუსეთის ცხოვრებისა და დროს-მოთხოვნილებათა შესაფერათ. ამისდა მიუხედავად უკანასკნელ წელთა გამოცდილებამ იმდენი ხაკლუკუნას გვიჩვენა ჩვენის სამოსწავლო საქმისა, რომ მე საჭიროდ ვსტნაი შეუდგეთ ამ საქმის ძირითადთ განხილვას და შესწორებას. ვაფასებ რა თქვენს გამოცდილებას სახელმწიფო საქმეებში და განათლებულ გონებას, მე აკირბიეთ თქვენ ჩემდა თანამშემედ რუსეთის სკოლის განახლებისა და მოწოდების საქმეში, და გიწვევთ რა სერო განათლების მინისტრის დიდ და საძლეო თანამდებობაზე, დაწმუ-ნებული ვარ, მტკიცედ შეუდგებით ჩემ მიერ აღნიშნულ მიზნის განხორციელებას და რუსეთის ახალგაზდობის აღზრდის საქმეში მონაზრთ გამოცდილებას და გულითად მზრუნველობას. იუთს კურთხევა დღითის ჩვენს შრომას ზედა; ამასთან ვისურვებ, რამ დედ-მამანი და ოჯახნიც, რომელნიც ჯადებულები არიან იზრუნონ შეიღთათვის, დაუკვნაზრენ, და მამინ მადე დადგება ის დრო, როდესაც მე და ჩემთან ერთად მთელი ხალხი სიამაყით დაინახავთ ჩვენს მოზარდ თაობაში სმპობლას და მოამავლის მტკიცე და ნამდვილ იმედს“. ნამდვილს აწერია: „თქვენს გულწრფელათ ზატვიის-მცემელი ნიკოლოზი“.

განათლების ახალი მინისტრი ზეტრე სემ. ვანოვსკი არის აზნაური, მინსკის გუბერნიის; დაიბადა 1822 წ. კურსი დაამთავრა 1840 წ. მისკოვის ზირველ კადეტთა კორპუსში. სამსახური დაიწყო ონილიანდიის ზოლოში—და ძალიან სწრაფათაც დაწინაურდა. 1881 წელს 22 მისის იგი დაინიშნა სამხედრო მინისტრად და ასრულებდა ამ თანამდებობას 1897 წლამდის. ამ თანამდებობაში ბევრი რამ გააკეთა სამხედრო საქმისთვის სსსარგებლო. 1897 წელს იგი დირსი გახდა უმადღესის ნდობისა და დაეკალა, გამოერკვია სტუდენტების არეულობის მიზეზები.



გენერალ-ადიუტანტი ჩერტოვი დანიშნა ვარშავის გენერალ-გუბერნატორად და ვარშავის სამხედრო ოლქის ჯარების უფროსად.

საკვლეპისო უწყებაში დაბეჭდილია ლევ ტოლსტოის მეუღლის წერილი მიტრეპლიტ ანტონის მიმართ და მიტრეპლიტის პასუხი. აი ეს წერილები:

„გუშინ გაზეთებში წავიკითხე სინოდის განკარგულება, რომელზედაც, სხვა მწვემსთავართა შორის, თქვენი ხელიც აწერია და რომლითაც ჩემი ქმარი გრაფი ლევ ტოლსტოი განრისხულ იქმნა ეკლესიიდან, რასაც მშვიდად სრულიად ვერ შევხვდი. ჩემს მწუხარებით აღსავსე განრისხებას ანა აქვს საზღვარი. იმიტომ ვი ვარ, რომ ასეთი განკარგულებით სულიერად დაღუპის ჩემი ქმარი: ეს ადამიანი ვი ვარ, ღვთის საქმეა. ადამიანის სულიერი ცხოვრება სარწმუნოების მხრით ემორჩილება მხოლოდ ღვთის განგებას და ნებას. მაგრამ იმ ეკლესიის თვლით, რომელსაც მე ვეკუთვნი და რომელსაც თავის დღეში არ გადაუდგები, იმ ეკლესიისა, რომელიც შექმნილია ქრისტიანთა მიერ ღვთის სახელით და საღვთისად ადამიანის ცხოვრების უმთავრესი მომენტებისა, როგორცაა დაბადება, ქორწინება, სიკვდილი, მწუხარება და გლოვა ადამიანთა; იმ ეკლესიისა, რომელიც ხმა-მადლა უნდა დადებდეს სიუვარულს, სათნობას, სიუვარულს მტერთა, რომელიც ვეკლესიის უნდა ღირსეულობდეს—აი იმ ეკლესიის თვლით სრულიად მიუწვდომელია ჩემთვის სინოდის განკარგულება. ეს განკარგულება თანაგრძობისა-ვი ვარ გამოწვევს (გრად „მოსკოვის უწყებებისა“), ანამედ ზიზღს და გაძლიერებს სიუვარულს და თანაგრძობისა ლევ ნიკოლოზის ძის მიმართ. ჩვენ უკვე გვიცხადებენ ასეთ სიუვარულს და თანაგრძობისა მთელი ქვეყნის უფალი კუთხიდან და არც ექნება მათ ბოლო. არ შემიძლია არ მოვიხსენიო ის მწუხარებაც, რომელიც მომაყენა წინათ გაკანთილმა უზრდა განკარგულებამ, სახელდობრ: სინოდის მალევი განკარგულება მდგომარეობისა, რომლითაც მათ ეკრძალებოდათ ლევ ნიკოლოზის ძის ანდრძის აკება, თუ ის მოკვდებოდა. ვის სჯიან ამით? მკვლარს, უფველ გრძობას მოკვებულ ადამიანს, თუ მის მხლარებელ მორწმუნე ხირთ? თუ ეს დასაშინებლათ ქნეს, ვის აშინებდენ ან რისთვის? ხუ თუ ჩემი ქმრის წესის ასაკობთ და მისდა ღვთისადმი შესავდარებლათ ვერ ვიშვანი ან ასეთ რიგის მდგომარეობა, რომელიც არ შეუშინდება ადამიანის ხამდვილ სიუვარულს ღვთის წინაშე, ან და ისეთ ურიგოს, რომელიც შემიძლია დიდძალი ოფლით მოვიუილო? მარა ეს ჩემთვის არცაა საჭირო. ჩემთვის ეკლესია განუებოთა შემტენება და მის მოსამსახურეთ მე მხოლოდ ისინი მიმაჩნია, ვისაც ჭეშმარიტათ ესმის ეკლესიის მნიშვნელობა. თუ-ვი ეკლესიისათ ვიცხანით ის ადამიანები, რომელნიც თავისი შურით ბედავენ დაარდვიონ უმდღესი კანონი—ქრისტიანული სიუვარული—ამ შემთხვევაში ჩვენ, ჭეშმარიტათ მორწმუნენი და ეკლესიაში მოსიარულენი, გაუმორდებოდათ მას. ეკლესიისაგან გამდგარნი არიან არა გზა-დაბნეული ადამიანები, არამედ ისინი, რომელთაც ამაყათ გამოაცხადეს თავის თავი ეკლესიის მეთაურათ და სიუვარული და სათნობის მაკიერ სულიერ ჯალათათ შეიქმნენ მათთვის, რომელთაც ღმერთი უფრო ადვილათ შეიწინარებს მათი მშვიდი, უფველ მიწიერ ბედნიერებისაგან უარყოფილ ცხოვრებისათვის, ვიდრე მათ, ვინც ატარებს ბრძლიანტებით შემკულ მიტრებს და ვარსკვლავებს, და იმავე დროს რიცხვენ ეკლესიიდან მის მწვემს. ხირთეული მოსახრებით ჩემი ახრის უარყოფა ადვილია, მაგრამ დრმა შეგნება ჭეშმარიტებისა და ადამიანის ხამდვილი მისწრაფებისა—არავის არ შეიუვანს შეცდომას.“ გრაფინის სოფიო ტოლსტოის. 26 თებერვ. 1901 წ.

აი მიტრეპლიტის პასუხი:
„ის-ვი არ იყო სასტიკობა, რაც სინოდმა განაცხადა,—თქვენი მეუღლე ეკლესიის განუენინა; არა, სასტიკათ თვით ის მოექცა თავის თავს, რაც უარყოფითი სარწმუნოება იქნა ქრისტიანადი. აი, ამ უარყოფაზე უნდა მოგვფლდით თქვენ ჯარო; თქვენი მეუღლე დაბეჭდილი ქადაგდის ნაკვლეპისკან-ვი არ იღუბება, არა, ის იღუბება იმ მიზეზით, რომ ხირი იბრუნს საუუენო ცხოვრების წყაროსაგან. თქვენ მეუღლეზე, ვიდრე ის ცოცხალია, არ ითქმის, რომ დაღუბულია; თქვენ მთელი მსოფლიო თანაგრძობის გიცხადებთ,—რაცა არ მიკვირს,—მაგრამ ვიფიქრობ ვი, რომ თქვენთვის ეს ბეგრი არაფერი ნუგეშია. შარშან, რაცა გაზეთებმა გაავრცელეს ამავი თქვენი ქმრის ვადმოფლობისა, ეკლესიის მსახურნი კითხულობდენ, უნდა ვიცხანთ ის, ეკლესიისა და სარწმუნოებისაგან განრისხებული, დროსათ ქრისტიანული დაკრძალვისა და ღვთისა, თუ არა; ამ საგანზე მივმართეს სინოდს და ამან საიდუმლო დარბება გაუგზავნა ეკლესიის მსახურთ და მხოლოდ ის ერთად ერთი პასუხი მისცა, როგორც შევევრებოდა: „არ უნდა დასაფლავდეს ქრისტიანული წესით, თუ ეკლესიის არ შეუერთდა და ისე ვარდაცვალა“. აქ არავისათვის არავითარი მუქარა არაა და სხვანაირი პასუხის მიცემა არც შეიძლებოდა; ან რა საჭიროა ძალმომრეობით მოექცნენ თქვენ ქმარს, რაცა ეკვი არ არის, თითონ მას არა ქსურს, რომ ქრისტიანული წესით დაკრძალულ იქნეს. რაკი თქვენ, ცოცხალ ადამიანს, გსურთ ეკლესიის წევრად იცხანთ თქვენი თავი და რადგანაც ეკლესიაც ცოცხალ გონიერ არსებობათ და ღვთის სახელით შეერთებულია კრებულია, ამიტომ თავის თავად ირღვევა თქვენი აზრი, რომ ეკლესია თქვენთვის განუებოთა მტენება და თქვენ უბრადეთ ავევდროთ ეკლესიის მსახურთ ბრძობას და ქრისტიანთა მიერ ხანდერძე უმდღეს სიუვარული განრისხის უარყოფას. სინოდის ოქმი არ არღვევს ამ კანონს,—ხირაქით, ეს ოქმი არის სიუვარული ოქმი, ისაა მოწოდება თქვენი ქმრისადმი ეკლესიის დაუბრუნდეს და მორწმუნეთადმი ილოცონ მასზე. ეკლესიის მწვემსებს აწესებს უფალი ღმერთი, და არა თვით მათ ადარეს თავანთი თავი ეკლესიის მეთაურად, როგორც თქვენ ამბობთ. ისინი ბრძლიანტით შემკულ მიტრებს და ვარსკვლავებს ატარებენ, მაგრამ ამას დიდი მნიშვნელობა არა აქვს მათ მსახურებისათვის: ივინი მწვემსებათ იუვენ იმ დროსაც, რაცა ძაძით იუვენ შემოსილნი და დეფნილნი და მწვემსებად დარჩებიან უფველთვის, თუნდაც რომ ისევ ძაძის ჩანმა მოუხდეთ, რაც უნდა ავად მოიხსენიონ და რაც უნდა სამარცხეიანო სიტუეპი უწოდონ მათ“. დასსრულ მიტრეპლიტი ამბობს: „ღმერთმა გაურთხოთ თქვენ და ისინას და შეიწვალეს მეუღლე თქვენი“.

ფინანსთა და შინაგან საქმეთა სამინისტროებმა უარი უთხრეს ორდოვის გუბერნიის საერობო კრებას იმაზე, რომ კრებათა წარმომადგენელთა მონაწილეობა შეეძლოთ იმ ხირებათა განჩევაში, რომლით უნდა განახლდეს რუს-გერმანიის სავაჭრო ხელ-შეკრულობა.

რიგის ზოლიტენიკუმის დირექტორმა გამოაცხადა, რომ ოლქის მხრუხელებმა რიგის ზოლიტენიკუმში შეანერა დროებით სწავლარე.

მოსკოვის ახალ-კომერციულ სასწავლებლის წესდებაში გაიარა ვეველ ინსტანციები და მალე განხორციელდება.

სარკოვის რკინის გზის მუშები მშროთავენ სახელმწიფო სასწავლებელს თავის სარჯზედ ომრეტი წლის შესრულებისა გამო გვებსთა განთავისუფლების დღიდან.

სარკოვის ამ წელს ძლიან ბეგრი მუშა და ხელმწიფი მისწვდომის საშუამოს საშოვნელად. თუმცა რკინის გზაზედ

გაიხსნა ადგილები, მაგრამ თითო თავისუფალ ადგილზედ მდის 15—20 მუშა ხელი.

— ზეტერბურგის სამოსამართლო ხელახლა წარმოამდგენების მოსწავლეობით, განიხილა-რა, 27 მარტს, საქმე ტიტულიანის სოფეტნიკის შვილის ნიკოლოზ კონსტანტინეს ძის ლავროსკისა, რომელსაც ბრალდებდა სსიკგდილთა გამოშეტება უწმიდისის სინოდის ობერ-პროკურორისა—გადასწავლა: ბრალდებულს ნიკოლოზ ლავროსკის ჩამოერთვას ყოველივე უფლება და გაიკზავნოს კატორგაში ექვსი წლით.

— სახელმწიფო რჩევაში მიღებულია კანონის მუხლი, რომლითაც მუშათა დასაწყობი სასახინო ქარხნებში სავალდებულოა.

— ფინანსთა სამინისტრო, როგორც გასეთები გვატობინებენ, მუშაობს პროექტზედ, რომლითაც ურიებს უნდა გაუფრთხილდეთ სავაჭრო უფლებები და განთავისუფლებიან მრავალ შევიწროებისგანაც.

— ქ. ოდესის ცხოვრების შესახებ შეკრებილია ზოგიერთი საინტერესო სტატისტიკური ცნობები. ოფიციალური აზვარიშიდნა ხნანს, რომ 1900 წელს დაურუსლებითა 47,408 მამაკაცი და 7,604 დედა-კაცი, სულ 55,012 კაცი, ე. ო. ¹/₈ მთელი ოდესისა.

— „ხარკოვის საგუბერნიო უწყებაში“ დაბეჭდილია: 8 მარტს, ხარკოვის რეინის გზის ვაკზალზედ მატარებლის წასვლის დროს შეიკრიბნენ უმადლეს სასწავლებლის მოწაფენი. თუმცა მრავალჯერ უთხრა მათ ყანდარების უფროსმა, დაიშაფებით, მაინც უარი განაცხადეს ამის ასრულებისა. მამინ ყანდარების უფროსმა მიჭმართა ზოლიციის შემწეობას და სთხოვა ხარკოვის გუბერნატორს, რათა მან ეს წინააღმდეგნი დასაჯოს, როგორც შეეუერება მისგან გამცემულ დადგენილებებს. გუბერნატორმა დაადგინა: მოხსენებულნი ზიანი—რიცხვით 21 კაცი, დახატობრებულ იქმნენ ერთი თვით.

— ხარკოვის გასეთებში დაბეჭდილია ადგილობრივი გუბერნატორის შემდეგი განცხადება: „1) აკრძალულია ყოველხინი ურილობა და კრება ქუჩებზე, მოედნებზე და ბალებში, აგრეთვე სხვა საზოგადო თუ კერძო ადგილებზე თუ შენობებში ჯეროვან ნება-დაურთველად; 2) შემთხვევითი თუ განკუბ მომხდარი ურილობა უნდა დაიშაფოს ზოლიციის ზირველ მოთხოვნისათხავე; 3) ვინც ამას არ დაუმორჩილება, ადმინისტრაციული წესით დაჯარიმებულ იქმნება 500 მან. ან დატუსადებული 3 თვით; 4) ასევე დაისჯებიან ამ მუხლებში აკრძალული საქმეების წამტეზებელნი“.

ს ა შ ლ ე ა რ გ ა რ ე თ.

საზრახვეთი. კანონ-პროექტი კონგრეგაციების შესახებ, როგორც მოხსენებული გვქონდა, უკვე მთლათ მიიღო ხელახლა ზოგიერთი ცვლილებით და გადაეცა უკანასკნელ მსჯავრის დასადაბათ და დასამტკიცებლათ სენატს, რომელიც, როგორც მოსალოდნელია, უთუად დაამტკიცებს მას. პროექტში შეტანილ ცვლილებათა შორის, განსაკუთრებით საურადადებოა მისი მე-18 მუხლის შეცვლა. ამ მუხლის ძლით, გაუქმებულ კონგრეგაციების ქონება უნდა გადაეცემოდა მუშათა სახეისიო კასის მხურც და დაგრდომილ მუშათა სასარგებლოთ. ეს მუხლი იმ სახით იქმნა შეცვლილი, რომ კონგრეგაციების ქონება უნდა დაურუნდეს მათს წევრებს, ან მათ შემკვიდრეთ, ხოლო წევრთაგან მოუთხოვნილი ხწილი ამ ქონების უნდა გაიუიფოს ექვსი კვირის განმავლობაში და ამოკებული ფული უნდა დაურიგდეს იმათ, ვისაც მეტი უფლება ექმნება. მთავრობა წინააღმდეგი იყო ხსენებულ მუხლის

ასეთი ცვლილებისა, მაგრამ, რადგან საქმის გაჭინურებას შემოარიდა, ამის გამო ისიც დათანხმდა. ასეთმა ცვლილებამ უკმაყოფილება გამოიწვია მუშათა პარტიის მხრივ, მაგრამ სოციალისტის ზეკავისის წინადადება უარყოფილ იქმნა.

უკვლახე უფრო თვალსაჩინო მუხლი კანონ-პროექტისა არის მე-14, რომელიც ნება-დაურთველ კონგრეგაციებს უკრძალავს სკოლების დასხნას და სწავლებას. გარდა ამისა, თვითველი კონგრეგაციის დაარსება უნდა მოხდეს თვით პარლამენტის აქტით და არა ადმინისტრაციის ნება-დართვით.

— საფრანგეთის მთა-მადნის მუშათა კავშირის გამკეობა ცირკულიანით დაკეითხანივე მუშების უკვლახ სხვა ასოციაციებს, საჭიროთ მიჯახნით თუ არა გამავანხადოთ საერთო გაფიცვა. თუ მუშათა უმრავლესობამ მიიღო ეს წინადადება, მოწვეულ იქნება კრება გაფიცულთა უზრუნველყოფის შესახებ მოსალაზარაკებლათ.

სამრბია. სერბიის სახელმწიფო ცხოვრებაში თვალსაჩინო ცვლილება ხდება მეფე და უკვლახ პარტიების მეთაურნი შეთანხმდენ, რომ დაარსებულ იქმნას ახალი კონსტიტუცია, რომელიც დამურებული იქნება მეტ ლიბერალურ საფუძველზე და უზრუნველ ჭეოფს ბეტლვითი სიტუვის, კავშირთა და არჩევნების თავისუფლებას. შედგენილ იქნება სენატი 48 კაციისგან, რომელთაგან 18-ს პირდაპირ ხალხი აირჩევს. საარჩევნო უფლება ექმნებათ იმათ, ვინც პირდაპირ გადასახადს იღებს არა ხაკლებ 48 ფრანკისა წლიურათ, ხოლო სენატში არჩევის უფლება ექმნება იმათ, ვინც ასეთ გადასახადს იხდის არა ხაკლებ 500 ფრანკისა.

იხპანია. სახალხო განათლების მინისტრის განკარგელებამ, რომ გაუქმდეს გიმნაზიებში სადმერთ სჯულის სავალდებულო სწავლება, პროტესტი გამოიწვია ბურგაისის არქიებისკამლის მხრივ, რომელიც იმით ასაბუთებს თავის პროტესტს, რომ პაპის კონკორდტი ნებას აძლავს სასულიერო პირთ ზედამხედველობა იქანიონ სწავლებასზე. მინისტრმა უხასუნა: თუმცა კათოლიკეთა სარწმუნოება სახელმწიფო სარწმუნოებას წარმოადგენს, მაგრამ ისხანიის კონსტიტუცია ადარებს სარწმუნოების სრულ თავისუფლებას. ხოლო საზოგადოება-კი, რომელიც მტრულათ უუერებს კლერიკალებს, კიდევ უფრო შოკს მიდის: მადრიდში, ვალენსიაში და ბარცელონაში მოხდა დიდი მიტინგები იმის მოსთხოვნათ, რომ გაუქმებულ იქმნას კონკორდტი, განდევნილ იქმნას იეზუიტები და განცალკევებულ იქმნას ეკლესია სახელმწიფოსგან. ბარცელონაში მომხდარ მიტინგის შემდეგ ორატორები მივიდენ საფრანგეთისა და პროტუგალიის ელჩებთან და შეაქეს მათთან ორივე სახელმწიფოს ზოლიტიკა სარწმუნოების საქმეში. მანიფესტანტებს ქვების დამენა დაუპირებოთ იეზუიტების მონასტრისათვის, მაგრამ ყანდარმებს გაუფანტავთ ისინი. ვალენსიიდან მთავრობას ადრესი გაუგზავნეს და მოსთხოვეს განდევნეთ სახელმწიფოდან ბერები.

— კლერიკალთა სიძულვილი გაძლიერებულია არა მარტო ისხანიის ხალხში, არამედ ისხანიის მონასტრებშიაც. ამას წინათ ესკორიალში მომხდარა კლერიკალთა უნივერსიტეტის სტუდენტთა არეულობა და ძალიანაც მიუთუთქვავთ ბერები. აი საქმე როგორ ყოფილა: სტუდენტები, თითქმის უკვლახ შორეულთა შვილები, უკმაყოფილო ყოფილან საზოგადოთ უნივერსიტეტის მთავრობისა და კანტი-კუნტად თხოულობდენ რამდენსამე ცვლილებას. ერთხელ რექტორის თანაშემწემ შეჭყარა ისინი და სთხოვა: ჩვენი რექტორის სახელწოდების დღეს რაიმე საჩუქარი მივართვათ მასო, მაგ., ფორტაპიანოფო. სტუდენტებმა უკვლახ უარი თქვეს, ამასვე გაჯავრდა უფროსი და რისხვით მიმართა მათ, თქვენ ამ ბოლო დროს ღვთის წინააღმდეგნი კანდით, „ექტრას“ წარმოადგენას ესწრებით, უკვლახ უთუოდ ჯოჯოფო-



სეთში ჩსხვადრო და სს. სტუდენტები ამხე სულ ერთხანად აირიან, შეიარაღდენ ჯახებით და ქვეით, ჩამტკრიეს შენობის უკუდა ფხვრები, ჩაღუწეს კარები, კედლები, გლახეს ბერები, ერთი სიტყვით, მთელი სსსწავლებელი ძირ-ბუდიანთ გადაბრუნეს. წესიერება აღადგინეს მხოლოდ უსაღრმესის კონდახებში. სწავლა შესწყდა. მშობელთა უმძაფრესობამ თავისი შვილები გაიუფანა სსსწავლებლიდან.

იტალია. რა შედეგების არის შანა? აი, ეს საკითხი გა- მთუფლებლავა ერთ იტალიანურ კაზეთს და იტალია შემდეგ ცნობებს: შანს გუთუნის ვატიკანი და მისი შენობები, ბაღები, უთავ- ლავი მიწები, სსსლები, ასე, რომ მთელი ეს ქანებს ღირს ორ მილიარდ 120 მილიონი ლირა (ღირს 35 კან.). ეს თანხა წყ- ლიწადში შემოიტანს 120 მილიონ სარგებელს. თუკი 10 მი- ლიონს, ვერაში 2 მილიონს, დღეში 411 ათასს, წათში 17 ათასს, წუთში 285 და წამში 5 ლირას. ამას გარდა, დიდდალ შემოსავალს იტალია ვეტრე-ხვალეს ტაძარი, მონასტრები, კონ- გრეგაციები და სს. მარტო რაფაელის ერთი მხატვრობა რომ გაიყიდოს, იტალიის უკუდა ვაღს დაჭირავდა. რატ შეესება ფა- სიან ქადაგლებს, აქტივს და სს.—ეს უთავლავი აქტს.

ამრტუზალია. 10 მარტს მეექვსე ხელი მდაწკა დეკ- რეტს, რომლის ძალითაც უთუოდ უნდა გაუქმდეს უკუდა სსსუ- ლიერო კონგრეგაციები, წარდგინოს მთავრობას ერთი ვიციის განმავლობაში კონგრეგაციების სელმდგანებლობის ქვეშ მოფ- სჯეღმქმედო და წესიერებათა და სსსწავლებელთა წესდებანი, ნება არ მიეტეო არც ერთ სსკეკლსიერ სსსლში შესვლისა იმ ზიროთ, რომელთაც საბერო აღთქმა მიუღიათ და აიკრძალოს დე- ის იქით ასეთი აღთქმის მიღება. სსზგადღობა დიდათ თან- უგრძობის მთავრობის ასეთ განკარგულებას. აქ-იქ შეფის დეკ- რეტი სისრულეში მოჭყავთ. ლისაბონში ზოლიცია გულმოდგო- ნით ჩსრეეს მონასტრების და კონგრეგაციების სადგომებს. ასე- თივე ამბები ხდება ობორტოშიაც. სალესიანის კონგრეგაცია უკვე გაუქმდა. დორთოევის კონგრეგაციამ სრულად დასტავა ობორ- ტუგალია. მოკლიან ახალ დეკრეტებს მონასტრების გაწმენდის შესახებ. ეპისკოპოსებსა და სამღვდელთა მეთაურებს უნდო- დათ ობორტუსტი გამოცხადებიათ ზარღამენტში დეკრეტის წინა- აღმდეგ, მაგრამ შემდეგ თავი დასხებეს ამას და მხოლოდ ბე- ტიცია შეიტანეს დეკრეტის გაუქმების შესახებ. ზატრიარქმა აღარ მოუტადა მთავრობის ჩარევას და თვითონ განდევნა ისეა- ნიის ფრანცისკანელები ზატრიარქატის სემინარიებიდან.

ჩინეთი. სასჯელმწიფოთა წარმომადგენლები ზეკანში თა- თბირს თათბირსე ჰმართავენ იმის შესახებ, თუ როგორ იქმნას დანგული ჩინეთში მათ მიერ ადგენილი (?) მშვიდობიანობა. ამავე დროს-კი ზეკანის მადამოებში, როგორც დეპუტები გვა- ცნობებენ, კვლავ თარეშობენ გაფანტული „დიდი მუშტის“ გუნ- დები. ხალხ 27 მარტის დეპუტადნ სხანს, რომ, გარდა ამ ბრბობისა, ჩინეთის მშვიდობიანობას მალე ხელს შეუშლის უფ- როდ დიერო რაზმი მუამბონთა. აი რა სწორია ამ დეპუტაში: „ღისუნჩანგმა და ცინმა მიიღეს ამავე, რომ იმპერატორი და მისი მახლობლები ძალიან შეფიქრებულნი არიან მინგოლიაში და ზროვინდაში დაწეებულ აჯანყებებით. აჯანყებულთ მეთაურებს ტუნფუსიანი. მას თან ახლავს 11,000 კარგათ გაწვრთნილი ჯარისკაცი და ამ უმათ იგი სიანფუდან 150 მილის მანძილზე სდგას“. გარდა მუამბონთა, რომლებიც, როგორც სხანს, არა სტხრებან, არა ხაკლებ ხელს შეუშლის ჩინეთის სქმის მოწეს- რიგებას თვით გარეშე სახელმწიფოთა მიერ წამოყენებული სხვა- და-სხვა საგნები, რომელნიც ასე თუ ისე ზირობიან აჯანყებ- მათს ინტერესებს ჩინეთში.

რუსეთის მიერ წარდგენილ წინდადებას მანჯურიის შესა- სებ. რომელმაც დიდი აღიარებით ასტესა კვრბანის სახელმწი- ფოებში, ჩინეთის მთავრობამ, იმპერატორის ბრძანებით, ხელი არ მიაწერა.

ინგლის ტრანსპალის ომი. როგორც უკანასკნელი დეპუტები ბუწებან, ინგლის-ტრანსპალის ომის სსსწორი წინა- დებურათ ისევე რეგვისა. ბედი გამარჯვებისა ჯერ-ჯერობით გა- დაღის ერთი ხელიდამ მუერეში. დეპუტა 27 მარტისა გავუწებს, რომ ინგლისის გენერალმა ზღუემრმა დაიჭირა პიტერსბურგი, ხო- ლო იმავე რიცხვის დეპუტა გავუწებს, რომ ეპერდინის ჩრდილოეთით ბურების რაზმმა სსსტიკათ დაამარცხა ინგლისის ჯარი და მთელი რაზმი, გარდა ოცდა-ხუთი კაცისა, ტყვედ წაიყვანეს. თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ ინგლისის ური აღარ დასთანხმდება მთავრო- ბას ახალი სარჯების გამოღებაზე ომის გასაგრძობათ, თუ მი- ვადებთ მხედველობაში ავრეთვე იმასაც, რომ დღეს ინგლისს ცალი ხელი გაშვებოდა აქეს ჩინეთისაკენ და სურს ზირ-მტკიცეთ დაიცვას იქაც თავისი ინტერესები, შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ ინგლისის მთავრობა მალე ბძულებული გახდება უფრო მეტი დაუთმოს ბურებს, ვიდრე ომის ზიონებები—ხემუერდენი და მისი მომხრები იჭრებენ.

სომხური სომხეთა სსმგრეზიდან. სომხური საექიმო სახლობა წიგნაკები.—სომხური ექვს თვიური კრებულები.—სომხური თეატრი.

სომხურ ენაზე მრავალი საექიმო წიგნაკებია დაბეჭდილი, მაკალითად, ავიდოთ ექიმო ბუდუღიანცის ბეკრებურგში გამო- ცემული წიგნაკები: „ზირველი მიშელებს ექიმის მოსვლამდე“, „გადამდები ავადმყოფობანი“, „რა არის სიფილისი?“, „საუბარი ჯანმრთელობასე“, „რა არის როსკობობა?“, ვენეროული სენები“, „მოწაფის ჰიგიენა“, „ჩვენსი სერგები“, „ვინ არის დამნაშავე?“, და სხვა. ეს გამოცემები ძალიან გავრცელებულია სალხში და დიდ სარგებლობასაც აძლეეს მკითხველ საზოგადოებას. თითო- ღირს შაურად. ავრეთვე შესანიშნავი გამოცემებია ექიმო ტერ- გიგორიანცის „სახალხო-კარობანი“, რომელიც რამდენიმე ტო- მია და მისივე „ვენეროული სენები“. ჩვენ შევიტყუთ, რომ ცნობილი საექიმო და საჰიგიენო წიგნების გამოცემულს ექიმს ვ. არწრუნს განუზრახავს სახალხო აფეთისიანი ბრბოურების საშუალებით გაავრცელოს სომხეთა შორის საექიმო-საჰიგიენო მეტნიერება. ექიმს არწრუნს ძლიერ ენერგება ადგილ, გასაკგბი ენით მუხადივი მკითხველთან საექიმო-საჰიგიენო კითხვების შე- სხებ. სომხეთა წიგნის გამოცემულმა ამხანგობამ წარსულ წელს დაბეჭდა მისი „სამამწვილო ჰიგიენა“, „სსსკოლო ჰიგი- ენა“ და ესლას „მურგ“-ში იბეჭდება მისი მშვინიერი საჰიგიენო ეტოელი „ცოლის შეროვა“. უკვე იბეჭდება და ამ მოკლე ხანში გამოვა სსსებული სერისის ზირველი წიგნი „სუ ლოთობ“, რომელიც ეღირება 5 კანეკათ.

სომხებს აქვთ სიში ექვს-თვიური ჟურნალი: „ლუმა“, „სზ- გავრკან ჰანდენი“ და „თეატრი“ ამთში უკვლავსე უკეთესი და სალხში გავრცელებული სალიტერატურო კრებული „ლუმა“ („წვლილი“), რომელიც იბეჭდება 1886 წლიდან მღვდლის გოტ აღანანცის რედაქტორობით. მას მრავალი მკითხველი ჰყავს, რადგა- ნაც მინარსით და ენით ძალიან მდიდარია. მისი თანამშრომლებია სომხეთა მწერლები: ზ. ზროშანცი, ტერ-გოტო აღანანცი, მურარანი ერვანდ შაჰანიანი, ი. ოჭანუზიანი, ეპისკოპოსი მეტქისედეკ უმრადანცი, მღვდელი ტკაღურიანცი, ნ. ქანამიანი, ის. ჰარუ-

თუნიანცი და სხვა. „ლუმაში“ იბეჭდება ევროპის განთქმული ავტორების ნაწარმოებები, მაგალითად, ზესტალოცისა, სენკევიჩისა, გოტესი, კარლენკისი, მარის-იკასი და სხვა. „ლუმაში“ იბეჭდება აგრეთვე ორიგინალური ნაწარმოები, მათხრობები და ლექსები რომელთა წარმომადგენელია მკაცრებისა. „ლუმა“ განგრძობულად აგრეთვე მამულებს. რომლის უფლები განვითარებული მდგომარეობისთვის სთვლის გამოაწიროს „ლუმა“ და იკითხოს მასში დაბეჭდილი მწიგნობრივ სტატია ტერ-გიუტ ადანიანცისა, რომელთა ეკლესიის და მის გუმბარების შესახებ. ტერ-გიუტ ადანიანცის მწიგნობრივ სტატიას შორის შესანიშნავი სტატიებია „სასულიერო კითხვა“, „ახალი წესდების თეატან რომელთა ეკლესიისა“, „წესდება რომელთა მდგომარეობის მიმართ“ და სხვა მრავალი. „ლუმა“ ერთგვარი სკოლაა ესტონელი რომელთა მდგომარეობის. „ლუმაში“ იბეჭდება ცნობილი. განსვენებული მწერლების ხელნაწერები, მაგალითად, რაფფისა, ხან. აბოვიანცისა, ნახარაიანცისა და სხვა. თითო ნომერი შეიცავს 500 გვერდს, რომლის 100 გვერდი დამატებას. წელიწადში ღირს 3 მანეთი, იბეჭდება სუფთა ქაღალდზე.

„ზგაგრაჰან ჰანდეს“ (სექტორგრაფიკი კრებული), ექვს თვიური სურათების რომელიც შერჩეულია, გამოდის ერვანდ ლაღაიანცის რედაქტორებით. პირველი წიგნი გამოვიდა 1896 წ. ივნისში. შერჩეულია მიხატ აქვს „უფლები გვართ შეისწავლოს მთელი რომელთა მარების და გუმბარების რომელთა ზნეობა-ხეულებანი, ცხოვრება, გონებითი განვითარება და მათი ენა“, ერთი სიტყვით, სხეულები შერჩეული არის ცხოვრების ნამდვილი წყარო, საიდანაც რომელთა სექტორგრაფიკი თავისი სერგონი რომელთა მისიდან ამოღოს, ფილფილფი შეუძლიან ამჟღავნოთ სიტყვები და სტატიები რომელთა ენის განმარტებულად, ზუბლიცისტს და სასულიერო წოდების კაცს—დაინახოს ერის გაჭირვებული მდგომარეობა და უჭადგოს მას, გამოიყვანოს ატანელი მდგომარეობიდან, ექიმს—ერის სატკივარი და წამალი მიაშველოს, მსწავლებელს—უმწიგნობრების ცხოვრება და სხვა, ერთი სიტყვით, „ზგაგრაჰან ჰანდესი“ ემსახურება როგორც რომლის ერს, აგრეთვე მსოფლიო მეცნიერებასაც. შერჩეულია უფლები პრეგრაჰები იბეჭდება სხვა-და-სხვა სტატიების შესახებ, ეტნოგრაფიის და სოფლის მეურნეობის სახელმძღვანელოთ. დღემდის დაიბეჭდა რედაქტორ ლაღაიანცის შემდეგი სექტორგრაფიკი თხზულებები: „ჯავახეთი“, „გარანდა“, „სისიანი“, „ზანგეზური“ და სხვა. უფლები ნომერში იბეჭდება ანტროპოლოგია, ნათარგმნი ევროპის სხვა-და-სხვა განთქმული ავტორების თხზულებათაგან. ესენი დიდ განძათ შეიძლება ჩაითვალოს რომელიც ლიტერატურაში. კრებულის წელიწადი ფასი 3 მანეთია, სუფთად დაბეჭდილია, აგრეთვე სუფთა სურათებით, გამოდის თვითღირსში.

სახელმწიფო-საღიბრატორი ნახატების კრებული „თეატრი“ გამოდის თვითღირსში 1893 წლიდან ა. თარხანიანცის რედაქტორებით; შიგ იბეჭდება ორიგინალური და ნათარგმნი ზიესები და სათეატრო სრინიკები. წელიწადი ფასი 3 მანეთია. უკანასკნელი ორი გამოცემა, როგორც სპეციალური კრებული, ხალხში გავრცელებული არ არის.

თხუთმეტი წელიწადია, რაც კავკასიის დედა ქალაქი თვითღირსი ძალიან გულგრილად ეკიდება რომელიც სახიბას, თუმცა პირველათ აქ აღორძინდა რომელიც სტენა და გამოიწვია ნიჭიერი არტისტები. ამისა მიზეზი ის არის, რომ განთქმული არტისტები 3. ადამიანის სიკვდილის შემდეგ, რომლის სტენა აივსო გამოყვანილი, განუვითარებული და უნიჭო მისხიბებით; ამიტომ რომლის ხალხმა პირი უბრუნა თავის სტენას და მას

ურადღება აღარ მიაქცია. აი, ამის მიზეზით რომელთა აქტივობის თხუთმეტი წელიწადი აღარა ჰქონდათ მკვიდრი ბიძა და დაინარბოდნენ აქა-იქ ქალაქებში და წარმოდგენებს მართლაც ბაქაელ რომელთა ახალგაზდობამ დაინახა, რომ რომლის თეატრი-დე-დეზე ძირს ეცემს და იღუპება, და აი, ამ ოთხი წლის წინათ მიხილდნენ მისი ფეხზე წამოყენება, შეგროვდა რამდენიმე ათასი მანეთი, დაასრულა ფონდი, კონსტანტინოპოლიდან მოიწვია ნიჭიერი არტისტები ქალი სირანუმი და დ. ტურანიანი, შეჭვირება გოვანტული მისხიბები და შეადგინა დრამატული დასი, გამართა წარმოდგენები თადიფის თეატრში, რომელმაც მიიზიდა რომელთა ერის ურადღება; რომელმაც დაიწყო რომელიც წარმოდგენებზე სიარული და ოთხ წელიწადში საქმე ისე გაიძვრა ფეხვი, რომ ესტა ანარბოვნი უკეთესი მისხიბები მოიწვიონ და გააძლიერონ ბაქის დრამატული დასი. სხეულები დასში იმყოფებიან ქ-ნი სირანუმი, მისურანიანი, ფარანძიმი, ვართუი, ვარდიეთერი, მარი-ჭრანუმი, ბ-ნი ზეტროსიანიანი, აბელიანიანი, ტერ-დავითიანიანი, არაქსიანიანი, გრუირი, ალიხანიანიანი და სხვა. ამ დიდ მარხვამ სხეულები დასი ორად გაიყო, ერთი ნაწილი წავიდა ჩრდილოეთ-კავკასიაში წარმოდგენების განმართავათ, მეორე ნაწილი-კი, ქ-ნი სირანუმის და ბ-ნი ზეტროსიანიანის თანხმობით წარმოდგენებს მართავს თვითღირსის არტისტული საზოგად. თეატრის დარბაზში და ხალხიც ბევრი ესწრება.

დ. ტერ-დავითიანიანი.

მეცნიერება და მეცნიერები.

წერილი პირველი (დასასრული.—იხ. № 12).

ველოსათვის ამჟამად, თუ როგორ უაზროთ, უთავბოლოთ, ანაკრიტიკულად ხმარობს ბ. მარველი სტატისტიკურ ცნობებს. ცხადია, რომ ბ. მარველმა არ იცის ეკონომიურ კითხვებში სტატისტიკურ მეთოდის ხმარება. ბ. მარველს მოჰყავს შემდეგი ციფრები:

1846 მიწით, სარგებლობდა

1846 მიწა იყო 572,550 მეურნეს ხელში. (ამ რიცხვში შედის ისინიც, რომელთაც ერთ ჰექტარზე ნაკლები აქვთ).
1866 *) მიწა იყო 744,007 " " " "
1880 " " 910,396 " " " "

ზემო ნათქვამი საკმარისია ამ უკანასკნელ ციფრის ასახსნელად, მით უმეტეს, რომ ჩვენ უკვე საკმარისად მოვიყვანეთ სტატისტიკური ცნობები, რომელნიც ამტკიცებენ მეურნეთა რიცხვის შემცირებას, ისეთ მეურნეთა, რომელთაც აქვთ 3 ჰექტარზე მეტი. თუმცა ამგვარ მეურნეთა რიცხვის შემცირება, თანდათან მათი გაქრობის გამოაშკარავება პირდაპირ არღვევს ბ. მარველის ყოვლად უსაფუძვლო აზრს, ვითომ ბელგიაში „წვირლ მეურნე გლეხთა რიცხვი“ მრავლდებოდეს, მაგრამ მკითხველი შეიძლება გააკვირვოს შემდეგმა პარადოქსმა, რომელსაც ჰბადებს ორ სტატისტიკურ ცნობათა ერთი-მეორესთან შედარება:

1866 წ. მიწა იყო 744,007 მეურნეს ხელში.
1880 წ. " " 910,396 " "

ეს ციფრები ამტკიცებენ მეურნეთა რიცხვის გამრავლებას. მეორე გვარი სტატისტიკური ცნობები გვეუბნებიან:

*) ეგ წელი ბ. მარველს გამოტოვებული აქვს.



1866 წ. მიწა იყო 160,391 მეურნეს ხელში.
 1880 წ. " " 143,693 " " "
 ეს უკანასკნელი ციფრები-კი ამტკიცებენ წინააღმდეგს, ე. ი. მეურნეთა რიცხვის შემცირებას. აი, სწორედ ამ პარადოქსმა დააბნია არა-კრიტიკულად მოაზრე კრიტიკოსი მარველი. მართლაც, რას ნიშნავენ ეგ ციფრები? ერთ და იმავე დროს მეურნეთა რიცხვი ვითომ კიდევ მატულობს და კიდევ კლებულობს!?. მაგრამ ეგ ხომ შეუძლებელია! ციფრები, სიმართლის მაჩვენებელი ციფრები-კი ამტკიცებენ, რომ ეს შესაძლებელია და კიდევაც ასეა; ე. ი., მეურნეთა რიცხვი კლებულობს და იმავე დროს მატულობს... მეტიცაა და ნაკლებიც... საბუთი:

1866 წ. მიწა იყო	744,007	მეურნეს ხელში
იმავე 1866 წ.	" " 160,391	" " "
1880 წ.	" " 910,396	" " "
იმავე 1880 წ.	" " 143,693	" " "

რომელია ჭეშმარიტების გამომხატველი? ორივე, მხოლოდ ერთი ამტკიცებს, რომ მეურნეთა რიცხვი ბევრად უფრო ნაკლები იყო 744,007-ისა 1866 წ. და აგრეთვე 910,396-ისა 1880 წ. და თან ამტკიცებს, რომ მათ რიცხვს 1866 წლიდან 1880-მდე კი არ მოუმატია, არამედ დაუკვია... აქ რაღაც ჯადოსნობაა!...

მკითხველო, გაიხსენე, რა სიტყვა რომერმა, ფოვილმა, სუმონმა, ვანდერველდმა და სხვ. მეურნეობის შესახებ. საფრანგეთსა და გერმანიაში ჰატარა მეურნე ჰქვია ისეთ მეურნეს, რომელსაც აქვს ორთა შუა 5-დან 20 ჰექტარამდე; ამაზე ნაკლების პატრონი-კი მეურნე არ გახლავთ; ის შეიძლება იყოს ვაჭარი, ხელოსანი, პუბლიცისტი, პროფესორი, მუშა, მაგრამ ის მეურნე-კი არ არის. ბელგიაში მეურნე ისაა, ვისაც აქვს არა ნაკლები 3 ჰექტარისა, მაგრამ სამი ჰექტარის პატრონი ბელგიაში ეკუთვნის იმ მეურნეთა კატეგორიას, რომელთაც შემოსავალი არ აძლევს ნებას თავის მდგომარეობა გააუმჯობესოს, ე. ი. მეურნეობაში ისარგებლოს ყველა იმ გაუმჯობესებულ მეთოდებით და იარაღებით, რომლითაც სარგებლობენ დიდი მეურნენი; ამ მოთხოვნების შესრულებას მოახერხებს მხოლოდ ის, ვისაც რჩება შემოსავლიდან თავისუფალი ფული, რომელიც მას შეუძლია მოახმაროს თავის მეურნეობის ტექნიკურად გაუმჯობესებას. ხოლო, როგორც ზევით დავინახეთ, ბელგიაში თვით პატარა ბრახანტში, სადაც ერთობ განვითარებულია ინდუსტრიული და ბალანსური კულტურა, თვით ამ პატარა ბრახანტში 3-დან 4 ჰექტარის პატრონს შეუძლია მხოლოდ თავი ირჩინოს, მაგრამ არ შეუძლია განაკეთილოს თავის მეურნეობა; მაშასადამე, იგი დღეს თუ ხვალ აუცილებელი მსხვერპლია კონკურენციის და კიდევაც ამას ამტკიცებს ზემო მოყვანილი ციფრები:

1866 მიწა იყო	160,391	მეურნეს ხელში.
1880 " " "	143,693	" " "
მეურნეთა რიცხვი ბელგიაში მტირდება.		
ბელგიაში, აშკარაა, „მეურნე“ შეგვიძლია ვუწოდოთ იმას, ვისაც აქვს არა ნაკლები სამი ჰექტარისა. ხოლო იმათი რიცხვი, ვისაც აქვს სამი და სამ ჰექტარზე მეტი თანდათან კლებულობს:		
1866 წ. იყო 3 ჰექტ.	არა-ნაკლების პატრონი	160,391
1880 წ.	" " "	143,693
14 წ.		—16,698

როგორც ხედავთ, მეურნეთა რიცხვს დაუკვია: კონკურენციის 14 წ. განმავლობაში 16,698 მეურნე მიუტანია მსხვერპლად ბურჟუაზიის ტაძარში. ეს მოვლენა სამწუხაროა და ჩვენ აქ მხოლოდ აღვნიშნავთ ამ სამწუხარო ფაქტს.

ბ. მარველი ამ აშკარა და ეკონომისტების მიერ აღნიშნულ ფაქტს ვერ ხედავს, ან თუ ხედავს, მას ქართველ მკითხველს უმაღლავს... ბ. მარველს ხომ თავისი მიზანი აქვს და...

ესლა დავუბრუნდეთ მეორე ჯურის სტატისტიკურ ცნობებს, რომელნიც გვეუბნებიან, რომ მიწის მფლობელთა—და არა მეურნეთა, ბ. მარველო,—რიცხვი გამრავლდა. როგორც უკვე კარგათ ვიცით, ამ უკანასკნელ სტატისტიკურ ცნობაში შედის არა მარტო მეურნეთა რიცხვი, ე. ი. ისეთნი, რომელთაც აქვთ არა ნაკლები სამი ჰექტარისა, არამედ ისინიც, ვისაც აქვს ერთი ჰექტარი და ერთ ჰექტარზე ნაკლებიც (ნახევარი ჰექტარი, მეოთხედი, მეათედი და...). როგორც თვით მარველი აღიარებს, და როგორც ჩვენც აღვნიშნეთ 1880 წ. 910,396-დან 594,376-ს ჰქონდა ერთ ჰექტარზე ნაკლები და 172,357-ს სამ ჰექტარზე ნაკლები! თუ გვესურს მეცნიერულად გამოვიკვლიოთ ბელგიის ეკონომიური ცხოვრება, მაშინ 910,396-ს უნდა გამოვაკლოთ 594,376+172,357, როგორც არა-მეურნენი, მაშინ-კი პარადოქსი ჰქრება და გვრჩება ის ფაქტი, რომ 1880 იყო არა 910,396 მეურნე, როგორც ბრახანტს ბ. მარველი, არამედ 143,663. (910,396—(594,376+172,357)=910,396—766,733=143,663).

1866 წლიდან 1880-მდე მეურნეთა რიცხვი ჩამოსულია 160,391-დან 143,693-მდე, ხოლო იმათი რიცხვი, რომელთაც ჰქონდათ სამ ჰექტარზე ნაკლები, გამრავლებულა:

1866 წ.	—	583,616
1880 წ.	—	776,733
14 წ.		+183,117

როგორც ხედავთ, არა-მეურნეთა რიცხვი გამრავლებულა და, როგორც ქვემოთ დავინახავთ, ყველაზე უფრო გაცილებით ბევრად მათ შორის გამრავლებულა ისეთნი, რომელთაც აქვთ ერთ ჰექტარზე ნაკლები. აქ ჩვენ ვხედავთ იმ მოვლენას, რომელსაც ასე შეჰხარის ბ. მარველი: „ბელგიაში მიწა-ადგილი თანდათან ქუცმაცდება, წვრილმანდება“^{*)}.

როგორ და რა მიზეზის გამო ქუცმაცდება, წვრილმანდება ბელგიაში მიწა-ადგილი? ეს დაქუცმაცება, დაწვრილმანება ნიშნავს თუ არა მესაკუთრეთა რიცხვის გა-

*) აქ შევნიშნავთ შემდეგს: ბელგიაში მიწა-ადგილი ქუცმაცდებოდა, წვრილმანდებოდა 1880 წლამდე; 1880 წლიდან-კი ბელგიაში ხდება სრულიად წინააღმდეგი მოვლენა. L'annuaire statistique de la Belgique 1900 წლისაში (შესავალი, გვ. XLI) ვკითხულობთ: „Ces sons exclusivement les exploitations de moins de 5 hectares, et notamment celles de moins de 2 hectares, dont le nombre a diminue (84,569). Au contraire, les exploitations au-delà de 10 hectares (et spécialement au delà de 50 hectares) ont augmenté de 3,789. La concentration de la propriété foncière, qui correspond au développement de la grande culture et de l'élevade, s'accuse ici d'une façon très nette“. ძლიერ სამწუხაროა, რომ „ივერიის“ მეცნიერმა არ იცის, რა მოხდა ბელგიაში 1880 წლის მერე! რომ მეტი ცოდნა ჰქონდა ბ. მარველს, ჭეშმარიტად ნაკლები თავხედი იქნებოდა. დ. თ.

მრავლებას? ეს დაქუცმაცება, დაწვრილმანება ნიშნავს თუ არა შესაკუთრეთა შორის თანდათან უფრო თანასწორად მიწის განაწილებას? თუ არა, მაშ რამ გამოიწვია ამ არა-მეორნეთა რიცხვის გამრავლება? აი კითხვები, რომელთა გამოკვლევა მეტად საინტერესოა და რომლებსაც ბ. მარველი სრულიად არ შეეხებია. ამ კითხვებზე ჩვენ გვექნება ბასი შემდეგ წერილში.

მკითხველთა წერილები.

ბრანს ისეთი ჯურის მწერლები, რომლებსაც ან არ შეუძლიათ რაიმე საზოგადოებრივი მოვლენის დახევა, ან-და, თუ დაიხსეს—ახსნას მაინც თავის დღეში ვერ მოახერხებენ. ამის-და მიუხედავად ისინი მაინც სწერენ და რადგანაც სწერენ, რადგან უნდა სთქვას, ხოლო ეს „რადგან“ ავი იქნება თუ ვარგი, სისულელე თუ სიჭკვიანე—ამათვის სულ ერთია. ამისთანავე მათ ერთი ახირებული ზნე სჭირთ: ჩაკეტიან, მაინც და მაინც ჩემი რწმენით იხელმძღვანელებ, ჩემი შეხედულება შეითვისებენ, მამისმინეთო! აი, ამ ჯურის მწერლებს ეკუთვნის ჩვენი „ქება-ძაგების“ კრიტიკისი თავი. კიტა აბაშიძე. ის თურმე დაწმუხებულია. რომ ჩვენი ლიტერატურა გათახსირდა, რომ მწერლები ადარ გვეყვან, რომ მკითხველი საზოგადოება ან მოსინძო, ან-და უცხო ენაზე კითხულობს. ჭეშმარიტი მწერალი სალიტერატურო ასპარეზს შორდება და მის ადგას ყოვლად უნიჭო და უვიცი იჭერს. ასე რომ, თუ კიტა აბაშიძეს ვერწმუნებთ, ახლო მომავალში საცნარ ამბებს უნდა მოველოდეთ. ასეთივე შეხედულების ყოფილა ჩვენს ლიტერატურაზე ბ. ი. ფანცხვას, რომელსაც კიტა დაჰკითხებია: რა აზრის ხარ ჩვენი ლიტერატურის გასულ საუკუნის ისტორიაზე და მის მსაღმდინელ და სასურველ მომავალზე. ხოლო ერთ რაშიმე ვერ ეთანხმება ბ. ფანცხვას კიტას. მას, როგორც კიტა აბაშიძეს, თუმცა აწმოდ გულს უკლავს და საიმედოს ვერაფერს აძლევს, მაგრამ მომავალი მაინც სწამს; კიტა აბაშიძეს-კი მომავალიც ვერ ახუგებებს და გულდაწყვეტილი შესწავს ბ. ფანცხვას: „დამერთმა ხეირი მოგცეს და იმედები გაემართლოს, მაგრამ თქვენგან აღნიშნული მიზეზები ჩვენი ლიტერატურის დაქვეითების ან თუ არ კლებულობს, იზრდება და მატულობს“. ფანცხვას აზრით, ჩვენი ლიტერატურის დაცემის მიზეზი ორნაირია*): „გარეშე და შინაური. გარეშე ის არის, რომ ჩვენს მწერლობას საკანი შეუმდინდა და მას უცნობელი მწერლობა შეტეკობას უწევს; შინაური-კი ის არის, რომ ჩვენი შეუგნებლობის გამო ქართველობის უმეტესმა ნაწილმა გული აიღრუა ჩვენს მწერლობაზე, რადგანაც უმრავლესობას თუთიუშობა უფრო ეადვილებს, ვიდრე დამოუკიდებელი აზრის და გემოს ქონება. ამის მიზეზია (თუ შედეგი?), რომ ჩვენს მწერლობას თითქმის ადარ ჭეჟავს ინტელიგენტი მკითხველი. ეს გარემოება-კი მწერალს გულს უნდრუებს გულ-მოდგინეთ მოეპურას თავის საგანს (დაიცადეთ, მწერლებო, მადე, სულ მადე ჩვენ გავერგობილდებით და მერმე სწერეთ, მანამდე-კი იძინეთ!). ამას-კი ის მოჭევა, — განკრძობს ბ. ფანცხვას, — რომ ახლა ჩვენს სამწერლო ასპარეზზე თარეშობენ სრულიად უვიცნი ვეკლათურნი: მათ არც ქართული ენა იციან (კურსივი მისია), არც სწავლა-ცოდნა მოეპოვებათ, ეს გარემოება-კი ნამდვილ ნიჭიერსა და მცოდნეს აძიულებს გვერდი აუაროს (ეოხად, ეოხად!) ჩვენს მწერლობას და სხვა რაშიმე ეკუბოს მუდრეობა აღმოეთუბული სულისა“. აბა, ამასე შეტი უბე-

დურება იქნება? უნიჭები ნიჭიერებს სჯობიან, უცოდინარნი მცოდნეთ სდევნიან ლიტერატურიდან, ადარ გვეყვან საწმ. მკითხველი, არც მწერლები, ერთი სიტყვით, მეორეთ მსხვდა ახლოვდება, მეორეთ მსხვდა! ახლა ვაკითხობთ—ვეკლავ ეს, რასაც კიტა აბაშიძე და ბ. ფანცხვას მოგვითხრობენ, მართლაც ხდება თუ არა? არა, ეს-კი არ მომხდარა, მოხდა მხოლოდ ის, რაც უნდა მომხდარიყო და რისგანაც იმათ ასეთი უკუღმართი დასკვნა გამოიყვანეს.

დღემდის ჩვენს ლიტერატურას არისტოკრატიის ინტელიგენტი ნაწილი ჰყოლობდა, მკითხველიც იგივე არისტოკრატია იყო, — მაშასადამე, იმათ ერთმანეთის ესმდათ და ამის გამო მკითხველს და მწერალს შორის სრული თანხმობა იყო. მწერლობის სიმძიმის ცენტრი ამ არისტოკრატის ეცემოდა, მაგრამ დრო შეიცვალა, ცენტრი ხალხისკენ გადაიწია და იმის შუაგულში მოკალათა. სწავლა-განათლება ინტელიგენტ არისტოკრატიიდან ხალხში, დემოკრატიაში გადავიდა. ამან მოხლო არისტოკრატ-ინტელიგენტთა ლიტერატურული მონაზობის, სხვა-და-სხვა საზოგადო საქმეებში არისტოკრატიზმს და ლიბერალიზმს გვერდში ამოუდგა ძლიერი მეტოქე დემოკრატიზმი. დღემდის მკითხველ საზოგადოებას ინტელიგენცია-არისტოკრატია წარმოადგენდა, დღეს-კი მკითხველი თვით ხალხში დაიბადა, ხალხმა გადაიკება იწყო, სრულ-წლოვანების კარს მიადგა და ობუკუნის მოქმედებასაც კრიტიკულად შეხედა. აქამდე თუ მას, რაც თითონ სურდათ, იმას მიაწოდებდნენ, ახლა იგი, რაც სურს, იმის მიწოდებას თხოულობს და რაკი ამას არ უსრულებენ, ის, რასაკვირველია, გვერდს უფლის თავის „ჭირსიუფალს“ და სხვა-გან ეძიებს ხსნას. რაკი ხალხი ამ მიმართულებას დადგა, ცნადა, არისტოკრატული ინტელიგენცია უნიდაგეთ დაჩნა, მას ადარაფერს ეკითხებიან, მის სურვილებს გვერდს უფლის და თავის საკუთარი გზით მიდიან... რაღა დაჩნა ამ ინტელიგენციას? რა-და, ერთადერთი მოთქმა-გოდება, გაუფაღი ზესიმიზმი, გლოვა და ზარი და სხ. და სხ., რაც-კი მიცვალელების დასაფლავებამდე საჭიროა. ამ გლოვის საუკეთესო წარმომადგენელია ჩვენს ლიტერატურაში ბ. კიტა აბაშიძე და დახარჩენები იმას „ტანს“ აძლევენ. ისინი იმიტომ-კი არ სტირიან, რომ ლიტერატურა თითქოს დაქვეითებული იყოს, არამედ იმიტომ, რომ ლიტერატურამ მათი იდეალები უარ-ჭეო და ახალი წამოაყენა და, რომ ქვეყანას თვადი აუხვიონ, თავიანთ სატირალს სერო ხსიანთს აძლევენ და გაიძახიან: „გვიშველეთ, ვიდუხებითო!“ ობუკუნი ყოველთვის გვარწმუნებს, რომ მისი საობუკუნო ძალიან უფერს, თუმცა სულით და გულით მოწადინებულია, რომ ის თავის დღეში არ დაწლოვანდეს, ვინაიდან სრულ-წლოვან ობოლსა და ობუკუნს შუა უთანხმობა ჩნდება. ეს ასეა ოჯახში და ცხოვრებაში; ასევე მოხდა ჩვენს ლიტერატურაშიც და თუ ეს კიტა აბაშიძეს და კამბ. ქვეყნის დაქვეით მიანხიათ, — მათი ხება, იტირონ, რამდენიც სურთ: „У всякого свое горе“, ხოლო ჩვენ-კი, უბრალო მკითხველებს, სასიხარულოს გარდა, სამწუხარო არაფერი გვჭვს ამ შემთხვევაში...

გ. შავლია, გივი ქავთარაძე, ბ. ლომთათიძე, დაბ. რუხაძე.

ტყუარჩილის ქვა-ნახშირი და მის მომავალზე სწა-ბასი კომტარბურკში. (შემდეგი.—იხ. № 9).

ბოლოს ერთ საგულისხმო სქემას კიდევ მოვიყვანო ბ. ა. რადცივის საინტერესო გამოკვლევებიდან, რომლიდანაც მკითხველი ნათლად დაინახავს მთელი ქვეყნიერების ნახშირის წარმოებაში დაბანდებულ მუშების რაოდენობას,

*) ცნ. ფურ. № 1389—1901 წ.



მათი ნაოფლარის ხალხში განაწილებას და მათი მწარმოებლობის მეტ-ნაკლებობას.

რიცხვი მუშებისათვის.	ხმარება ნახ. 1 სულზე წელიწადში.	მწარმოებლ. 1 მუშის წელიწადში.	ფასები თითო ფუთზე კაპიტალით.
ინგლისი	678690	237 ფ.	18026 4,4
ამერიკა	386656	147 „	27466 3,6
გერმანია	354708	131 „	16514 5,2
საფრანგეთი	140174	60 „	12749 6,7
ავსტრია	101902	50 „	10797 4,6
ვენგრია	26000	50 „	? 4,3
ბელგია	119246	155 „	10858 5,8
რუსეთი—დონ. აუზი	32523	7 „	9172 ?
„ პოლონეთი	13142		17103 3-4,75
„ მოსკ. აუზი	1489		6822 —
„ ურალის „	2538		6948 4-4,75
„ კავკასიისა	241		4714 —
„ კიევ. ელისავ.	73		4877 3-3,6
ისპანია	14843	12,6 „	8287 5,2
იტალია	2205	8,7 „	7710 4,4
შვეცია	2879	28 „	8480 6,1
ჰოლანდია	840	54 „	— 5,0
კანადა	9654	70 „	22200 7,5
იაპონია	54091	5,6 „	5490 3,9
ინდოეთი	60000	0,87 „	4200 3,0
უელსი	9233	75 „	26228 4,4
ვიქტორია	740	38 „	16244 7,7
ტასმანია	139	25 „	19406 6,0
კვინსლენდი	1500	49 „	— 6,3
ახალი ზელანდია	1937	70 „	25358 7,6
კაპის ახალშენი	1650	9 „	3640 ?
ნატალი	898	13 „	9734 7,6

რაგვარი დასკვნება შეიძლება გამოიყვანოს ადამიან-მა ზემორე მოყვანილ ციფრებიდან? პირველი და ყველაზე უკუხადესი ის, რომ უდიდესი სახელმწიფო—რუსეთი საერთაშორისო ნახშირის წარმოების საქმეში მეშვიდე ადგილის დამკვირი, ხალხში ნახშირის გავრცელების საქმეში მეცხრამეტე, თითქმის უკანასკნელ ადგილზე ყოფილა. ასე, რომ მხოლოდ ორისახელმწიფოს: იაპონიის და ინდოეთის მცხოვრები ხმარობს რუსეთზე (7 ფუთი მოდის სულზე) ნაკლებ ნახშირს. მეორე, მუშის მწარმოებლობაში რუსეთის ხალხი საკმაოდ უკანა სდგას (მეცამეტე ადგილი უჭერია) სხვა სახელმწიფოებთან შედარებით, რაც აქაური სამრეწველო ტენიკის განუვითარებლობით აიხსნება. თუ არ ტენიკის განუვითარებლობით, მაშ რით აიხსნება, რომ პოლონეთის მუშას წელიწადში 17,103 ფუთი ნახშირის დამზადება შეუძლია და დონის აუზში მომუშავეს-კი 9,172 ფუთის?! კავკასიის მუშა 4,714 ფუთზე მეტს ვერ ამზადებს, მარა ამაში დამნაშავე თვით მრეწველია, რადგან მუშას ამუშავენ მადნებში ძველებური სამუშაო იარაღებით და მით ძნელათ აუმჯობესებს სამადნო წარმოების ტენიკას. ამის ნამდვილ მაგალითს წარმოადგენს ტყიბულისა და ჭიათურის მადნებში არსებული პირობები მუშაობისა, სადაც ისინი ჭენჭუბიან ბილიკებზე ხელით სათრევე ურემიკალებით მადნების ზიდვაში აუარებელი დრო უნდა დაჰკარგონ. ამასთან, თუ სახეში ვიქონიებთ იმათ სიცოცხლის დაუზღვეველობას და მადნებში ათასგვარ მოსალოდნელ საშიშროებებს—უნდა აღვიაროთ, რომ კავკასიის მუშების ნაკლები მწარმოებლობა საწარმოვეო ტენიკის განუვითარებლობის ბრალია და არა იმის, რომ იმათ შრომა ვითომ არ უყვართ.

II.

კავკასიაში მთა-მადნების ძებნის საქმე იმდენათ მიიპყრო როგორც უცხოელების, ისე შინაურთა ყურადღება, რომ ყველა იმედები შეასედათა რომ გამართლდეს,

ეს მხარე ახლო მომავალში მეორე შვეიცარია, ფილიანდია, პოლონია და მაგვარ მხარეებად გადაქცევა. მართლაც, ამ იმედებს საკმაოდ ძალუმი ფრთები შეასხა უკვე ფებ-ადგმულმა წარმოებამ ბაქოს და გროზნის ნავთისა, ჭიათურის მარგანეცის, ტყიბულის ქვა-ნახშირის, სპილენძის, რკალის, ტყვიის და სხვა ლითონების წარმოებამ განჯა-ერევნის და ჩრდილოეთ კავკასიის გუბერნიებში. ამას დაფუძნებით საქარხნო და საფაბრიკო მრეწველობანი სამეურნეო ნაწილის სხვა-და-სხვა დარგებში (მაგ. მატყლისა, ბამბის და აბრეშუმეულობის საქმე), მეღვინეობა, სიმინდის ვაჭრობა იმერეთში და მივიღებთ იმ საერთო სურათს კავკასიის იმ მსხვილი მრეწველობისას, რომელშიაც მან ამ 10—20 წლის განმავლობაში ფეხი შედგა. აი რაგვარ სურათს გვიხატავს ბ. მ. ავსარქისოვი („Кавк. Вѣст.“ № 11 1900 წ.) ჩრდილო და ამიერ-კავკასიის მრეწველობის განვითარებისას.

ჩ რ დ ი ლ - კ ა ვ კ ა ს ი ა .

წლები.	ქარხნების და ფაბრ. რიცხ.	რაოდენობა წარმოებისა 1000 მანეთ.	მუშათა რიცხვი.
1887	592	5871	2977
1893	532	6270	3322
1897	863	15759	6739
ამიერ-კავკასია.			
1887	421	22461	9975
1893	447	22753	11241
1897	656	65009	21500

როგორც მკითხველი დაინახავს, ამ ციფრების შედარება გვაჩვენებს, რომ მსხვილ მრეწველობას ამიერ-კავკასიაში უფრო მოუდგამს ფეხი, ვინემ ჩრდილო კავკასიაში. აქ წარმოების რაოდენობა 81% -ში იხატება, ხოლო მუშების—76%/, თუმცა იქ წვრილმანი ფაბრიკა-ქარხნების რაოდენობა სჭარბობს, რაც გვიჩვენებს უფრო წვრილი სამეურნეო და მექურტლეობის მრეწველობის ზრდას ამ მხარეში.

ამ ახალი ცხოვრების სამრეწველო მიმართულებას კავკასიის ერებს შორის სომხებმა და ებრაელებმა აუღეს ალლო და ვაჭრობასთან ერთად სამრეწველო-სამეურნეო საქმეებსაც მაგრათ ჩაჰკიდეს ხელი და, როგორც ხედავთ, ფულს „აღმართს ახენვიანებენ“. დღეს ყველასათვის ცხადია, უცხოელების შემდეგ იმათ მოიხვეჭეს ძალა ბაქო-გროზნის და აგრეთვე ბათუმის ნავთის წარმოებაში, ბაქო, ერევნის, განჯის, თფილისის და სხ. ქალაქების საქარხნო-საფაბრიკო მრეწველობაში; მათ ხელშივე ტრიანლებს ამავე ქალაქების მართვა-გამგებლობის საქმეები და ისინი არიან აქ თვით-მმართველობის ტონის მიმცემნი.

ჩვენს ხალხში ახალ ცხოვრებას ალლო ყველაზე უფრო იმერეთის ხალხმა აუღო. იმერეთს, კერძო მეურნეობას გარდა, დღემდე ჭიათურა-ტყიბულის მადნები, ბათომისა, ფოთისა, ოდესისა და საზოგადოთ შავი ზღვის ნაპირები ჰქონდა თვისი შრომის ასპარეზით. დღეს მას ახალი ადგილები უჩნდება, ეს არის ტყვარჩელის ქვა-ნახშირის მადნები. აი ამ მადნების შესახებ გვირდა მკითხველს მოველაპარაკოთ.

მადნეულობის ძებნით იმერეთში დღეს ისე არიან დაინტერესებულნი, რომ ყოველი მიწის მუშა, თავადი თუ აზნაური, ინტელიგენტი თუ მოხელე, დიდი თუ პატარა, ყველა გაფაციცებით ეძებს ვინ თავთავიანთ და ვინ სხვების ადგილ-მამულებში ამა თუ იმ მადნეულობას და თუ თვისი თვალისათვის არა ჩვეული რამ აღმოაჩინეს მიწიდან, მაშინვე ილღიაში ამოდებულნი სპეციალისტებთან გარბიან აღმოჩენის თვისებების შესამოწმებლად, რომ შემდეგ სამთა-მადნო დაწესებულებაში განცხადების შეტანა მოასწორონ და მადნების ძებნის უფლება აიღონ. ასეთ მისწრაფებას ხელს უწყობს ამ მხრის მთა გორიანი ადგილები, სადაც, უეჭველია, აუარებელი სიმდიდრე იხატება ადამიანის მიერ ხელ-უხლებელი. აი, ასეთი ძებნის

ნაყოფია ტყვარჩელის მადნები სოხუმის ოლქში. აქ პირველ მადნებართა—ქუთაისის მცხოვრებ თადეოზ პაიქაძის, წინამძღვრი შვილის და ინჯიას—საძებარ საგანს შეადგენდა სპაღენმა, რომელსაც ასე გაფაციკვებით დაქმდებენ კავკასიაში კაი ხანია, მაგრამ ამის ძებნაში ისინი არა ნაკლებ სასარგებლო მადანს—ქვა ნახშირს—წააწყდნენ. აქ მოკლედ გავაცნობთ მკითხველებს ტყვარჩელის ქვა-ნახშირის და მის აღმოჩენთა თავ-გადასავალს, როგორც იგი მოთხრობილია ამ წერილებსათვის სამასლოდ დასახელებულ მერვე წიგნაკში, რომლის ავტორს, ეტყობა, პირველ აღმოჩენთა—პაიქაძის და ამხანაგობის უფლებების დაცვა აქვს საგნათ აღებული და ლიტერატურულათ საგანი კარგათ აქვს გამოკვლეული.

პირველათ 1895 წ. ზევით დასახელებულმა პირებმა აღმოაჩინეს ქვა-ნახშირი მდინარე გალიზგას მარცხენა ნაპირებში, ხალიკვარის ხეობაში. აქამდის აქაური ნახშირის შესახებ არაფერს იცოდნენ, გარდა მოხელის კონოპაკისა, რომელმაც 1881 წ. განუცხადა ქუთაისის გუბერნატორს ამ საქმის შესახებ, მაგრამ ამას არავითარი შედეგი არ მოჰყოლია და არც თვითონ დაინტერესებულა. ადგილობრივ მწყემსებს-კი, რომელნიც ამ მიდამოებში ფარას ამოვებდნენ, იქაური შავი მიწის პირები ეგონათ ოდესღაც მთის არაწმინდა სულების, საარაკო დევების ბრძოლაში დაღვრილი და გაქვავებული სისხლი. მარა 1895 წ. წინამძღვრი შვილმა, პაიქაძემ და ინჯიამ, აღმოაჩინეს თუ არა ქვა-ნახშირი, შეიტანეს ქუთაისის გუბ. სახელმწიფო ქონებათა სამართველოში განცხადება აღმოჩენის შესახებ და 1896 წ. ივლისში უკვე მიიღეს სამი მოწმობა მადნების საძებნელად. აი, ამ დროიდან საზოგადოებაში ხმა გავარდა ტყვარჩელის მადნების შესახებ და აფხაზეთის ყოფილმა მთავრის შვილმა მ. მ. შარვაშიძემ, გაიგო თუ არა ტყვარჩელში ქვა-ნახშირი აღმოჩენილია და პირველ აღმოჩენლების მიერ მოყვანილი ინჟინრებიც-კი დადიან ადგილების დასათვლიერებლად, —მადა აღძრულმა ხაზინას დავა დაუწყო, ეს მიწები ჩემიაო. ამ საქმის წარმოებაში მთელ წელიწად ნახევარს გასტანა და ბოლოს, 1897 წ., ხაზინამ დაირჩინა ეს ადგილები. პაიქაძის ამხანაგობამ, რომელსაც მერვე ტენიკი ვ. ძოწონიძე, კარტოზია და ა. შარვაშიძე მიემატა, განაგრძო მინც მადნების ძიება და მრავალ სხვა ადგილებშიაც აღმოაჩინა ნახშირის მადნები. ასე რომ, 1897 წ. იმათი მოწვევით სამთა-მადნო ინჟინრმა მოახდინა პირველი გამოკვლევა და რუსულსა და ფრანგულს ენაზე გამოაქვეყნა ამ მადნების შესახებ ცნობები. ამ ხანებშივე ვხვდებით პირველ ცნობებს ბათომელ გაზეთ „Черн Вѣст.“ და პეტერბურგის „Бирж. Вѣд.“-ში.

მაგრამ პირველ აღმოჩენლებს ბედმა არ გაუღიმა, პირველათ იმისათვის, რომ მთელი ტყვარჩელის მიდამოები სადავო გახდა ხაზინასა და შარვაშიძეებს შორის, მეორეთ, ადგილების გაუმჯავნელობა კავკასიის სამთა-მადნო მმართველობას ხელს უშლიდა მადნების ძებნის ნება-რთვის გაცემაში და, მესამეც, ამ საქმის პირველმა პიონერებმა ვერ დაიცვეს საკომერციო საქმეებში მიღებული კონსერაცია (საიდუმლოება), თავიდანვე ახმაურდნენ, გაგზავნეს განცხადებები, მოწოდებანი საშველად და, მართლაც, მრავალს აღუძრეს მადა გამდიდრებისა. ამ ნაადრევათ ნაყვირალ საქმეს კიდევაც მოაწყდნენ მრავალნი და პირველ აღმოჩენთ ვერც-კი მოასწრეს ნამდვილი მოწმობების აღება, რომ 1898 წელს გაჩნდნენ ახალ ახალი მსურველები მოწმობების აღებისა, თავთავიანთთვის საძიებელი რაიონები მიიჩინეს და იწყეს წარამართ საძიებელი სვეტების დასობა. ახალი მადნებლები, ისარგებლეს რა პირველების მიერ გზის გაკაფვით, გამოკდილებით და მრავალ ალაგას ნახშირის აღმოჩენით, დაჰპატრონდნენ მას და საძიებელ სვეტებთან ერთად იღებდნენ საძიებელ მოწმობებსაც. ამგვართ, 1898 წ. სამთა-მადნო მართველო-

ბაში 200-მდე მოწმობის აღების მსურველი იყო და მათ შორის ბუტმი-დე-კაცმანმა თვისი კამპანიებით ასამდე განცხადება შეიტანა ზოგი პაიქაძის და ამხანაგობის მიერ უკვე დაბეჭებულ და გასინჯულ ადგილებზე და ზოგიც ახლებზე.

რასაკვირველია, ახლები ცდილობდნენ ძველების განცხადებების ნება-რთვა დაერღვით, დაემტკიცებიათ უკანონობა მათი პირობებისა და თითონ მოესწროთ მადნების საძიებელ პირობების მიღება. მართლაც, 1899 წლ. დამლევს მარტო ბუტმი-დე-კაცმანმა 33 მოწმობის აღება მოასწრო. ამავე დროს პირველმა აღმოჩენლებმა განცხადება შეიტანეს, რომ ამით მათი უფლებები, როგორც პირველი აღმოჩენლების, ირღვევა. ამან და ტყვარჩელის მამულების გაუმიჯნაობამ აიძულა სახელმწიფო ქონებათა სამართველო, გაეგზავნა კომისია ადგილობრივ გასამიჯნავად და გეგმის შესადგენად. კომისიამ გამოიკვლია სადავო ადგილები და დაასო 123 საძიებელი სვეტი, რომელთა რიცხვი მანამდე ერთი-ორად მეტი იყო, მაგრამ ბუტმი, დარწმუნდა თუ არა, რომ მის მიერ მეტად ხშირად იყო დასობილი სვეტები, მრავალ იმათგანზე თითონ განაცხადა უარი და 33 მაინც დაირჩინა. ახალ კომისიას მიენდო 1899 წ. 1 იანვრამდე შემოსულ განცხადებების განხილვა სამინისტროს რწმუნებულის მედევედვის თავმჯდომარეობით. ამ კომისიამ, მიიღო რა საზომათ ფორმალური მხარე სამთა-მადნო კანონებისა, რომელიც, თუ სხვებს არა, არც ბუტმი-დე-კაცმანს ჰქონებია სრულად დაცული, დააკმაყოფილა უკანასკნელთა მოთხოვნილება, ხოლო პირველთა უფლებანი და ინტერესები შეჭლუდა. ამგვართ, კომისიამ მისცა რა ბუტმის 33 მოწმობა მადნების ძებნისა, ამით დაუშვა შეცდომა, რადგან, როგორც აღმოჩნდა, ტყვარჩელის ადგილებში მხოლოდ 25 საძიებელი მოწმობის გაცემა შეიძლება უკვე შედგენილი გეგმის მიხედვით.

პირველ აღმოჩენთა ასერიგათ უფლებების დარღვევას მოჰყვა ბუტმი-დე-კაცმანის და მისი კამპანიის უფლებათა გაძლიერება. ამის გამო პირველნი იძულებულნი გახდნენ თავიანთი სადავო უფლებანი დაეთმოთ ინჟინერ რაბინოვიჩისათვის, რომლის შემწეობითაც მათ თავდაპირველი გამოკვლევა მოახდინეს. ამგვართ ჩამოიშორეს ორმა მძლავრმა მოპირისპირებმა წვრილმანი მოდავეები და დღეს-ღვობით ტყვარჩელის ქვა-ნახშირის კვლევაძიების საქმე ორ პარტიას აქვს ხელში ჩაგდებული. ერთის მხრით მუშაობს ბუტმი-დე-კაცმანი, უფრო მომეტებული უფლებებით აღჭურვილი და მეორე მხრით, რაბინოვიჩი, რომელიც ადრე თუ გვიან პირველის გაერთიანებულ ძალას დაუთმობს თვისს უფლებებს და მას შეარჩენს მთელი ტყვარჩელის ქვა-ნახშირის წარმოებას. ეს მორიგება თუ მოხდა, აქედან ჯილდო, ალბათ, პირველ აღმოჩენთაც ერგებათ.

ის. კვიციანიძე.

(შემდეგი იქნება)

ს ა შ მ ე ლ მ შ მ ე ლ მ ს ა შ მ ე

უღრმეს მადლობას ვუცხადებ იმ პატივეულ პირთ, რომლებმაც კეთილ ინებეს და შემიწეობა აღმოვეჩინეს ჩვენდამო რწმუნებულის სკოლის სახელზე გაზეთი „კვალისა“ და საბავშო ყურნალის „ჯეჯილის“ გამოწერით: ბ. რ. ურუშაძემ—2 მ., ბ. მ. ლლონტმა—3 მ., ბ. ბ. ოფონ და ი. ჩიკაიუბმა, ყ. ლ. ხელაძემ, ს. და ს. კილაძეებმა—თითო მანეთით, და ა. ხელაძემ—ათი შუტით.

ძიმიტის ორ-კლასიანი სკოლის მასწავლებელი ივანე კვიციანიძე.

რედაქტ.-გამომც. ან. ი. წერეთლისა.